# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-კვირა, 29 თებერვალი - 1 მარტი. 2020 წ. №38 (8964) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ალექსანდრე ჭიკაიძეს „შემოულანძღნებენ“?!

### როგორ დააგროვა შს ყოფილმა მინისტრმა მრავალმილიონიანი ქონება

3

## ,,კორონავირუსის გამო მსოფლიო საფონდო ბირჟებმა ერთ დღეში 5 ტრილიონით იზარალეს!

**მას შემდეგ რაც მსოფლიოს სამ კონტინენტზე კორონავირუსის გავრცელების ფაქტი დადასტურდა, ერთ დღეში მსოფლიო საფონდო ბირჟებმა ერთ დღეში 5 ტრილიონი დოლარით იზარალეს,** – ამის შესახებ Reuters წერს. გამოცემის ცნობით ინვესტორები ვერ აკეთებენ პროგნოზს მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ. **„ინვესტორები რისკების შეფასებას ცდილობენ“,** – აცხადებს SEI Investments-ის აზიის აქციების კონტროლის ხელმძღვანელი ჯონ ლაუ.

2020 წლის 9 თებერვალს ამერიკული ინდექსის ვარდნას მსოფლიო ბაზარზე ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა. მკვეთრად დაეცა ევროპული და აზიური ბირჟების მაჩვენებლები.

აშშ-ის საფონდო ბირჟებზე არსებული არასტაბილური ვითარების გამო ბოლო პერიოდში მსოფლიოს 500-მა მდიდარმა ადამიანმა 114 მილიარდი დოლარი დაკარგა!

## საქართველოში კორონავირუსის მეორე შემთხვევა გამოვლინდა

საქართველოში კორონავირუსის მეორე შემთხვევა დადასტურდა. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გუშინ განაცხადა. ის არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც იტალიაში იმყოფებოდა.

**„გუშინ კორონავირუსული ინფექციის ახალი შემთხვევა გამოვლინდა. პაციენტს აქვს იტალიაში მოგზაურობის ისტორია. მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მიმდინარეობს მონიტორინგი“,** – განაცხადა გამყრელიძემ.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა 26 თებერვალს დადასტურდა. ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის თქმით, დაავადებული საქართველოს მოქალაქეა, რომელიც 26 თებერვალს აზერბაიჯანის გავლით ირანიდან შემოვიდა. საუბარია 50 წლის კაცზე. პაციენტი ინფექციურ საავადმყოფოშია გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ,,საქართველოს ბანკი“ ადასტურებს...

**დაავადებათა** კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ დადასტურებული კორონავირუსის შემთხვევებს შორის ერთ-ერთი, რომელმაც იტალიაში იმოგზაურა, ჩვენი თანამშრომელია. ის საქართველოში 26 თებერვალს ჩამოფრინდა.

## მცირემასშტაბიანი ფაშიზმი უროვანტიზმოდ

6

## საქართველოში იპოთეკური სესხები რეგიონში ყველაზე ძვირია, რაც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას აფერხებს...

## სესხები გააიაფეთ, ხალხის მყვლეფელნო!

4

„ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...“

## ,,ქალი სუფოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“...

ანონსი სამშაბათიდან

ვინ იყო კოკო შანელი?..

## 29 თებერვალს დაბადებულთა ,,უპირატესობანი“

12

გელა ძოძიაშვილი:

## ლამარა ჭყონია – საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მომღერალი

7

# ლუიზა ვინტონი: კიდევ ერთი ოქროს ვარსკვლავი საქართველოს დემოკრატიული რეფორმების გზაზე!

**„UNDP-ისთვის დიდი პატივია მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის განახლებული სისტემის შექმნის პროცესში მონაწილეობა, არა მხოლოდ საქართველოში ადგილობრივ დონეზე, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით, რადგან ყოველივე ეს საქართველოსთვის წარმოადგენს კიდევ ერთ ოქროს ვარსკვლავს დემოკრატიული რეფორმების გზაზე,** — ამის შესახებ UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ლუიზა ვინტონმა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის განახლებული სისტემის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომელიც, დღეს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა.

მისივე შეფასებით, სტრატეგიული დოკუმენტების, მონიტორინგის და კოორდინირების ახალი მიდგომის სპეციფიკა უნიკალური მიღწევაა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

**„ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ეს კონკრეტული რეფორმა, როგორც ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი რეფორმის შემადგენელი ნაწილი. საჯარო მომსახურების, ადმინისტრირების რეფორმა საკვანძო ნაწილია პრემიერ-მინისტრის მიერ გატარებული ბევრად უფრო ფართო რეფორმისა. ეს საკვანძო ელემენტი მორგებულია კომპლექსურობაზე,“** — აღნიშნა ლუიზა ვინტონმა.

UNDP-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ასევე ხაზი გაუსვა რეფორმების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სტრატეგია ვერ ამუშავდება, თუკი მათ შექმნასა და განხორციელებაში არ მონაწილეობენ მოქალაქეები, ადამიანები, რომელთათვისაც უშუალოდ ეს სტრატეგიებია განკუთვნილი.

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის პრეზენტაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა გახსნა. ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო ფართო საზოგადოებისთვის 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 3629 დადგენილებით მიღებული სიახლეების გაცნობა — პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

# ჯასტინ მაქქენზი სმიტი: თქვენ ხართ რეგიონში და მის საზღვრებს გარეთ ბევრი ადამიანისა და ქვეყნის შთაგონების წყარო!

**ბოლო წლების** განმავლობაში **საჯარო მომსახურების რეფორმის კუთხით საქართველომ ძალიან შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია,** — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ჯასტინ მაქქენზი სმიტმა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის განახლებული სისტემის პრეზენტაციის მონაწილეებს, რომელიც დღეს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბრიტანეთის მთავრობის მზადყოფნა, გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარებაში.

დიპლომატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფორმების განხორციელების პროცესში საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს გვერდით დგას.

**„საქართველოში ინტენსიური წინასაარჩევნო პერიოდია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ადმინისტრაციის ურყევმა გადაწყვეტილებამ — საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, ასევე, ღიაობამ ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვასთან დაკავშირებით. ამ რეფორმების განხორციელებაში საერთაშორისო საზოგადოება თქვენ გვერდით დგას. ასევე აღვნიშნავ საჯარო მოხელეების ღვაწლს. თქვენ უნდა ამაყობდეთ უკვე მიღწეულით. თქვენ ხართ ამ რეგიონში და მის საზღვრებს გარეთ ბევრი ადამიანისა და ქვეყნის შთაგონების წყარო. ეს გზა გრძელდება და ამ გზაზე შეგიძლიათ, თქვენ გვერდით იგულოთ ბრიტანეთის მთავრობა“,** — აღნიშნა დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში.

# რა გადაწყვეტილებას მიიღებს სტრასბურგი?

**აგვისტოს** ომის საქმეზე რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის დავაზე საქართველო სტრასბურგის სასამართალოს გადაწყვეტილებას წელს ელოდება.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

**აგვისტოს ომის საქმეზე საქართველო რუსეთს ადანაშაულებს ევროპული კონვენციის რვა მუხლის დარღვევაში, კერძოდ, საქართველო მიიჩნევს, რომ რუსეთმა ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს დაარღვია ევროპული კონვენციის შემდეგი მუხლები: სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი); წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა (მე-3 მუხლი); თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი); პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი); სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი); საკუთრების დაცვა (1 დამატებითი ოქმის 1 მუხლი); განათლების უფლება (1 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი); მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი). რუსეთ-საქართველოს ომის საქმის არსებით მხარეზე წერილობითი პოზიციები და შესაბამისი მტკიცებულებები საქართველომ პირველად წარადგინა 2014 წლის 31 დეკემბერს, ამის შემდეგ დამატებით — 2016 წლის 19 თებერვალს და 31 მარტს, 2017 წლის 31 იანვარსა და 24 ნოემბერს. საქმეზე ზეპირი მოსმენა 2018 წლის 23 მაისს გაიმართა. სახელმწიფოთაშორისი საჩივარი სტრასბურგში 2008 წლის 11 აგვისტოს შევიდა, 2009 წლის 6 თებერვალს კი საქართველომ წარადგინა დაზუსტებული საჩივარი; სტრასბურგის სასამართლომ 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს საჩივარი მისაღებად ცნო, არსებითი მხარის წინასწარი გადაწყვეტის გარეშე.**

# თორნიკე რიჟვაძე: სოფლად მეწარმეობის განვითარების ახალი პროგრამა იწყება!

**გუშინ** აჭარის მთავრობის სხდომა გაიმართა. **აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ისაუბრა იმ სიახლეებზე, რაც ეკოტურიზმის, მთის ტურიზმის და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად იგეგმება რეგიონში.**

იწყება სოფლად მეწარმეობის განვითარების ახალი პროგრამა, რომლისთვისაც ბიუჯეტში მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული.

**„პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შევუწყოთ როგორც ახალგაზრდა მეწარმეებს, სტარტაპებს, ასევე, არსებული ბიზნესების გაფართოებას და მოდიფიკაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამით შესაძლებელია, დაფინანსდეს როგორც ეკოტურიზმის მიმართულების პროექტები, ასევე, ახალი ინოვაციური, ენერგოეფექტური პროექტები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რეგიონში გვქონდეს ინკლუზიური ზრდა, რაც გულისხმობს ყველა მუნიციპალიტეტისთვის თანაბარ შესაძლებლობებს როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ასევე, ახალი პროექტების რეალიზებისთვის“** — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

ბათუმი გაზაფხულზე ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეას უმასპინძლებს.

**„ეს ნიშნავს რეგიონის და ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას, რაც მოგვცემს საშუალებას დავსახოთ ახალი ღონისძიებები როგორც ეკოტურიზმის, ასევე, სამთო ტურიზმის განვითარების კუთხით“,** — აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ. ასამბლეა ბათუმში მაისში ჩატარდება და მასში მონაწილეობას 15-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

# მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კიდევ 6 სოფელს მიენიჭა



**საქართველოს** **მთავრობის გადაწყვეტილებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი კიდევ 4 მუნიციპალიტეტის 6 სოფელს მიენიჭა. დღეიდან მაღალმთიან დასახლების სტატუსით და მასთან დაკავშირებული შეღავათებით სარგებლობის საშუალება მიეცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ახალციხის, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი მელაანის, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების — დვანისა და კნოლევის, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების — სპეთისა და ჭალოვანის მოსახლეობას.**

კანონით დადგენილი შეღავათებით სარგებლობა გააუმჯობესებს კიდევ 6 სოფლის ეკონომიკურ მდგომარეობას და სოციალურ ფონს, ხელს შეუწყობს ამ დასახლებებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და მათთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას.

ამ დრომდე, საქართველოში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული ჰქონდა ქვეყნის 1,731 დასახლებას და მთაში მუდმივად მცხოვრების სტატუსით სარგებლობდა 246,012 მოქალაქე.

უკვე მეხუთე წელია, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის დაწესებულია როგორც სოციალური, ისე საგადასახადო შეღავათები მთაში ეკონომიკური საქმიანობის წახალისების მიზნით.

ბოლო წლებში მთის ფონდიდან გამოიყო 86 მილიონი ლარი, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ესაა — საგზაო, წყალმომარაგებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები, კულტურისა და სპორტის ობიექტების, სკოლა-პანსიონების რეაბილიტაცია, მზის პანელების დამონტაჟება, ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა მიმართულებები.

გასულ წელს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ შემუშავებული „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ხუთწლიანი სტრატეგია“. სტრატეგიის მიზანია მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება, იქ მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მთის პოპულარიზაციის მიზნით, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, უკვე ორი წელია, 11 დეკემბერს, საქართველოში ოფიციალურად აღინიშნება მთის დღე.

# ალექსანდრე ჭიკაიძეს „შემოულანუნებენ“?!

## როგორ დააგროვა მს ყოფილმა მინისტრმა მრავალ-მილიონიანი ქონება

**შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის საეჭვო გამდიდრებასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ გამოძიების დაწყებას ითხოვს. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია ვრცელ განცხადებას ავრცელებს:**

„შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ 2017 წლის ბოლოს საჯარო სამსახურის დატოვების შემდეგ დიდი რაოდენობით უძრავი ქონება საეჭვო გარემოებებში დააგროვა. იმ პირობებში, როდესაც თანამდებობის დატოვების მომენტისთვის ალექსანდრე ჭიკაიძეს არ ჰქონდა დანაზოგი ან თანხა საბანკო ანგარიშზე და ბანკის სოლიდური ვალი გააჩნდა, მან და მისმა მეუღლემ ორ წელზე ნაკლებ დროში შეძლეს 5 უძრავი ქონების — 224.72 კვ.მ. საცხოვრებელი ფართისა და 216.778 კვ.მ. მიწის — საეჭვოდ დაბალ ფასში შეძენა.

ალექსანდრე ჭიკაიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 20 ნოემბრიდან 2015 წლის 23 იანვრამდე ხელმძღვანელობდა; შემდეგ იგი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა, თუმცა საბჭო 2017 წლის ნოემბერში გაუქმდა; 2018 წლის იანვრიდან ჭიკაიძე ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას იკავებს.

ყოფილი თანამდებობის პირის სწრაფი გამდიდრება თავისთავად აღძრავს ეჭვებს ამ პროცესის კანონიერებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნის დროს ალექსანდრე ჭიკაიძე არაკეთილსინდისიერად ავსებდა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ პერიოდულად იკვლევს ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებს, რათა გამოავლინოს უკანონო გამდიდრებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის სავარაუდო შემთხვევები.

### გამდიდრების ქრონოლოგია

2018 **წლის** იანვარში, საჯარო სამსახურის დატოვების მომენტისთვის, ალექსანდრე ჭიკაიძის სახელზე 4 უძრავი ქონება აღირიცხებოდა, რომელთაგან მან მხოლოდ 2 დაადეკლარირა:

100.1 კვ.მ. ბინა თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო;

2013 წლის 29 ნოემბერს 169,000 $-ად შეძენილი 293 კვ.მ. ბინა თბილისში, ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩებს შორის, რისთვისაც მან 140,000 $-ის ოდენობის სესხი აიღო საქართველოს ბანკიდან;

2016 წლის 6 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტში მემკვიდრეობით მიღებული 15.000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული ორი საცხოვრებელი სახლით. ეს ინფორმაცია მან არც 2017 და არც 2018 წლის დეკლარაციაში არ ასახა.

2017 წლის 11 სექტემბერს, მცხეთაში, სოფელ მუხრანში 3,500 ლარად შეძენილი 2.300 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც მან, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, 2018 წლის დეკლარაციაში არ ჩაწერა.

საჯარო სამსახურში თანამდებობის დატოვების შემდეგ, 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის ნოემბრამდე ორ წელზე ნაკლებ დროში **ალექსანდრე ჭიკაიძემ და მისმა მეუღლემ შეიძინეს 278,766 ლარის ღირებულების უძრავი ქონება — 224.72 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი და 216.778 კვ.მ. მიწა. კერძოდ:** 2018 წლის 25 მაისს მან 59 266 ლარად შეიძინა 139.62 კვ.მ. მშენებარე ბინა და ტერასა ბათუმში, ფიროსმანის ქ. №18-ში.

2018 წლის 17 სექტემბერს 60,000 ლარად შეიძინა 142.865 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწა წინანდალში.

იმავე დღეს 30000 ლარად შეიძინა 72.113 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწა ასევე წინანდალში.

2019 წლის 7 მარტს 40,000 ლარად შეიძინა 1.800 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწა საგურამოში.

2019 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრე ჭიკაიძის მეუღლემ ნათია ოკრიბელაშვილმა ბაკურიანში 10000 დოლარად 85.1 კვ.მ. კოტეჯი შეიძინა.

### რატომ არის საეჭვო ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ ქონების დაგროვება?

1. **მაღალი** თანამდებობის პირის მიერ საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ დიდი რაოდენობით უძრავი ქონების მოკლე დროში დაგროვება თავისთავად საეჭვო გარემოებაა.

2. მისი ახალი სამსახური — ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი — ოფიციალურად არაანაზღაურებადია.

3. ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ ბოლოს შევსებულ დეკლარაციაში არ ფიგურირებს არც დანაზოგი და არც თანხა საბანკო ანგარიშზე, რომლის გამოყენებითაც მას ამ ხარჯის გაწევა შეეძლო. მეტიც, იმავე დეკლარაციის მიხედვით, მას 2023 წლამდე სოლიდური მოცულობის იპოთეკური სესხი ჰქონდა აღებული.

4. თანამდებობის დატოვების შემდეგ ახალი საბანკო სესხი მან 2019 წლის 30 სექტემბერს მას შემდეგ აიღო, რაც უკვე ნაყიდი ჰქონდა უძრავი ქონება ბათუმში, წინანდალსა და საგურამოში.

5. საეჭვოდ დაბალია შეძენილი უძრავი ქონების ფასები. სერიოზულ კითხვებს ბადებს 2019 წლის მარტში საგურამოში შეძენილი უძრავი ქონების ღირებულება. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, მიწა 40,000 ლარად არის ნაყიდი, თუმცა 9 თვის შემდეგ (12.12.2019) გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში იგივე ქონება საქართველოს ბანკის მიერ 110000 დოლარად არის შეფასებული.

6. ალექსანდრე ჭიკაიძე აქტიურ სამეწარმეო საქმიანობაში მხოლოდ 2019 წლის ზაფხულიდან (ივლისი) ერთვება, მას შემდეგ, რაც ძირითადი უძრავი ქონება უკვე შეძენილი აქვს. 2019 წლის 3 ივლისს მან უსასყიდლოდ მიიღო შპს „ჯორჯიან ვინგზის“ 50%-იანი წილი, ასევე დააფუძნა ორი ახალი კომპანია: 2019 წლის 24 ივლისს შპს „სანლე გრუპ“, რომლის 50%-იან წილსაც ფლობს და 2019 წლის 7 ოქტომბერს შპს „რთველისი“ — 25%.

მანამდე ის 2018 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 22 თებერვლამდე ფლობდა შპს „ნიუ ჰელსის“ 51% წილს, რომელიც უსასყიდლოდ დათმო. ბიზნესით ის პირველად მინისტრის თანამდებობის დატოვებიდან 15 თვეში, 2016 წელს დაკავდა, როდესაც საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ისკო დასენთან ერთად „დაცვითი საქმიანობით“ დაკავებული შპს „ლეგიონი 2016“ დააფუძნა. ალექსანდრე ჭიკაიძემ 2017 წლის დეკლარაციაში არ ჩაწერა, რომ 2016 წლის 26 აპრილიდან 3 ნოემბრამდე ფლობდა ამ კომპანიის 49%-ს, რომელიც მან 100 ლარად გაყიდა.

### არაკეთილსინდისიერად შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები

ალექსანდრე ჭიკაიძეს 2012 წლიდან მოყოლებული ქონებრივი მდგომარეობის მხოლოდ 6 დეკლარაცია აქვს წარდგენილი, რომელთაგან 3 დეკლარაცია, კანონის დარღვევით, არასრულადაა შევსებული:

ბოლო, 2018 წლის დეკლარაციაში მან არ ჩაწერა, რომ 2017 წლის 12 სექტემბერს, მცხეთაში, სოფელ მუხრანში შეიძინა 2.300 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწა.

2017 წლის დეკლარაციაში მან არ ახსენა, რომ 2016 წლის 26 აპრილიდან 4 ნოემბრამდე ფლობდა შპს „ლეგიონი 2016-ის“ 49%-იან წილს. გარდა ამისა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, მას ეს წილი მართვის უფლებით სხვა პირისთვის გადაცემული არ ჰქონდა (მუხლი 13(6).

2017 წლის დეკლარაციაში მან ასევე არ ჩაწერა, რომ 2016 წლის 6 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტში მემკვიდრეობით მიიღო 15.000 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული ორი საცხოვრებელი სახლით. ეს ინფორმაცია მან არც 2018 წლის დეკლარაციაში ასახა.

მოვუწოდებთ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოებს, დაინტერესდნენ 2018 წლის იანვრიდან 2019 წლის ნოემბრამდე ალექსანდრე ჭიკაიძისა და მისი მეუღლის მიერ შეძენილ ქონებაში გადახდილი თანხის წარმომავლობით და დაადგინონ, ხომ არ იქნა დარღვეული კანონი“, — აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში.

# არ უნდა თქვა და აკეთო მიუღებელი რამ...

**გაერთიანებული ოპოზიციის სია დიდად განსხვავებული არ იქნება იმ სახეებიდან, რომელთაც ვხედავთ ლეიბორისტების მაგიდასთან...**

**ოპოზიციის „გეგმა B“ ცნობილია. მედიაში გაჟონილი ინფორმაციით, თბილისში ძირითად მაჟორიტარულ ოლქებში გაერთიანებული ოპოზიცია 7 კანდიდატზე შეაჩერებს თავის არჩევანს. ეს კანდიდატები იქნებიან: შალვა ნათელაშვილი, დავით ბაქრაძე, ნიკა მელია, ელენე ხოშტარია, გიორგი ვაშაძე, ზაალ უდუმაშვილი, ხატია დეკანოიძე.**

**ოპოზიციონერთა კვოტების ასეთ გადანაწილებას არ ეთანხმება ალეკო ელისაშვილი. იგი გაოცებულია, რომ „ხარბი ზნე ვერ მოიშალა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რადგან „ნაცმოძრაობის“ მტკიცებით, თურმე ოპოზიცია „შეთანხმებულა“ თბილისში საერთო კანდიდატებზე და, მათ შორის, თურმე ალეკო ელისაშვილსაც დასტური უთქვამს, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.**

**ალეკო ელისაშვილს ისიც აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა, „ნაცმოძრაობამ“ მიუთითოს სხვებს, სად ვინ უნდა დააყენოს კანდიდატურები, ან სად ვის უნდა დაუჭირონ მხარი? ეს მაშინ, როცა მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიღმა არანაირი სხვა კომუნიკაცია არ ყოფილა. ეს ხომ არ არის „ნაცმოძრაობის“ იმ სცენარის გაგრძელება, როცა ჯერ პროპორციული არჩევნების მოპოვება დაიბრალა „ნაცმოძრაობამ“ და ახლა საკუთარი ჭკუითა და გემოვნებით ანაწილებს ოპოზიციის კანდიდატურებს თბილისში?**

**ხომ არ იქნება ეს სია „ნაცმოძრაობის“ დამარცხების ფორმულა? ამის შესახებ დღეს ანალიტიკოს სოსო მანჯავიძეს ვესუბრებით.**

**— მედიაში გაჟონილი ინფორმაციით, თბილისის ძირითადად მაჟორიტარულ ოლქებში „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები იყრიან კენჭს. თუ ამ სიას შალვა ნათელაშვილს გამოვაკლებთ, სულ „ნაცებითა“ და „ევრონაცებით“ ყოფილა დაკომპლექტებული მაჟორიტართა სია. ოპოზიცია თავს იმართლებს, რომ ასეთი სია არ არსებობს, უბრალოდ, რამდენიმე ადამიანი ერთმანეთს უზიარებდა აზრს, თუ ვინ იქნებოდა მათი კანდიდატი თბილისში, რამაც რატომღაც მედიაში გაჟონა. თქვენი აზრით, ეს სია ხომ არ გახდება ოპოზიციის დამარცხების ფორმულა?**

— ჯერჯერობით, ეს არ არის ოფიციალური მონაცემი, თუმცა პროგნოზს თუ გავაკეთებთ, გაერთიანებული ოპოზიციის სია ამ შემადგენლობისგან დიდად განსხვავებული არც იქნება იმ სახეებიდან გამომდინარე, რომელთაც ვხედავთ ლეიბორისტების მაგიდასთან. თუ ასეთი სახეებით დაკომპლექტდება მაჟორიტარების სია, პროგნოზი რთულად გამოსაცნობი არ იქნება. გასაგებია, რომ მათ სხვა კანდიდატურები ვერც ეყოლებათ. რაც არიან, ესენი არიან და ახლა ციდან ვერ ჩამოცვივდებიან უკეთესები.

იხ. 5 გვ.

# რუსეთმა გამონახა გზა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული 10 მილიონი ევრო საქართველოს არ გადაუხადოს!

## თქვენ ხართ და თქვენი ნაბადი?!

**რუსეთმა** **გამონახა გზა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული 10 მილიონი ევრო საქართველოს არ გადაუხადოს,** – ამის შესახებ რუსული გამოცემა „ვედომოსტი“ წერს.

**გამოცემის ცნობით, რუსეთის ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ „სერიოზული პრობლემები“ შეექმნათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების დროს, რომლის მიხედვითაც, რუსეთმა 2006 წელს საქართველოს მოქალაქეების უკანონო დეპორტაციისთვის საქართველოს ანაზღაურების სახით 10 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.**

„ვედომოსტის“ ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წელს იქნა მიღებული.

**„შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, უნდა შეექმნა მექანიზმები ანაზღაურების განსაზღვრისა და განაწილებისთვის. თუმცა ამ დრომდე ეს არ გაკეთებულა,** – აღნიშნულია რუსეთის მიერ მომზადებულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ევროპის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციაში აღნიშნულია, რომ სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს სამართლიან ანაზღაურებას ანიჭებს“, – ნათქვამია რუსულ დოკუმენტში.

**„თუმცა, საფუძველი ანაზღაურების მინიჭებისთვის, ხელმწიფოთაშორისი საჩივრით პრინციპში გათვალისწინებული არ არის – ის შესაძლოა, მიიღონ მხოლოდ ცალკეულმა განმცხადებლებმა, რომლებიც აღიარებული არიან მსხვერპლად. ამ შემთხვევაში, ხელისუფლება მხოლოდ ოპერატორის ფუნქციას ასრულებს“,** – აღნიშნავს გამოცემა.

როგორც რუსულ გამოცემაშია ნათქვამი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაავალდებულა საქართველოს ხელისუფლება, შეადგინოს დაზარალებულთა საბოლოო სია, დააზუსტოს, თუ ვინ რომელი დარღვევის შედეგად დაზარალდა და რა სახის ანაზღაურება ეკუთვნის. ეს კი უნდა განხორციელდეს სასამართლო განხილვისას წარმოდგენილი საერთო სიიდან (მასში 1797 სავარაუდო მსხვერპლია), სულ მცირე 290 მოქალაქის გამორიცხვით, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ აღიარებული დაზარალებულად სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. საბოლოო სია, როგორც სასამართლომ მიუთითა, უნდა შეიცავდეს, „არანაკლებ 1500 საქართველოს მოქალაქეს“.

როგორც „ვედომოსტი“ წერს, მხოლოდ ამის შემდეგ, სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია ამ დარღვევებზე, შეძლებს ანაზღაურებას დაზარალებული მხარისთვის. რუსეთში შიშობენ, რომ სხვა შემთხვევაში, ანაზღაურებას მიიღებს ის ხალხიც, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს დაზარალებულად, ამ თანხის დაბრუნება კი, შეუძლებელი იქნება.

**„წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია, აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ჩქარობს დაზარალებულთა სიის შედგენას“,** – აღნიშნულია რუსეთის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

გამოცემა წერს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მათ მიერ გაგზავნილ მოთხოვნაზე პასუხი არ გაუცია.

**„ადრე მსგავსი მექანიზმი იქნა გამოყენებული კონსტიტუციური სასამართლოს მიერ, რომელმაც ნება დართო რუსეთს, არ გადაეხადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, 1.866 მილიარდი დოლარის ოდენობით დაკისრებული კანაზღაურება „იუკოსის“ ყოფილი აქციონერების მიმართ. თუმცა, მაშინ დაზუსტდა, რომ ხელისუფლებას შეეძლო ნებაყოფლობით გადაეხადა აქციონერებისთვის, რომლებიც მენეჯერების ქმედებისგან დაზარალდნენ „იუკოსის“ახლად გამოვლენილი ქონების ხარჯზე.**

ჟურნალ „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს ბიულეტენის“ მთავარი რედაქტორის იური ბერესტნევის თქმით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლება კიდევ უფრო ჭკვიანურად იქცევა, რამდენადაც, საუბარია არა ანაზღაურებაზე უარზე, არამედ დიალოგზე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება.

**„ეს ნორმალური და გასაგები პოლიტიკური თამაშია, რომლითაც მინისტრთა კომიტეტში ყველა ქვეყანა თამაშობს და რომელიც არავისგან იწვევს შეშფოთებას. თუმცა, ეს ასევე სერიოზული ქვაა სასამართლოს ბოსტანში, რომელმაც დიდი რაოდენობით საქმეების გამო, ვერ შეძლო დაემუშავებინა გადაწყვეტილების ტექნიკური ნაწილი“,** – აღნიშნავს იური ბერესტნევი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2019 წლის 3-5 დეკემბერს საქართველოს მოთხოვნით ე.წ. დეპორტირებულების საქმის აღსრულების პროცესი განმეორებით შეაფასა. 2019 წლის სექტემბრის სხდომის მსგავსად, კომიტეტმა გაიზიარა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტები და რუსეთს მოუწოდა კომპენსაციის სახით 10 მილიონი ევროს საქართველოსთვის დაუყოვნებლივ გადახდისკენ.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ რუსეთისათვის დაკისრებული სამართლიანი დაკმაყოფილების თანხის გადახდა არის უპირობო ვალდებულება და შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ვალდებულებისა, მოპასუხე სახელმწიფოს ამ დრომდე არ გადაუხდია დაკისრებული თანხა.

ამასთან, მინისტრთა კომიტეტმა გამოხატა წუხილი იმის თაობაზე, რომ რუსეთის დელეგაცია ცდილობს, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის თანმიმდევრობა, რაც უპირველესად გულისხმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ანაზღაურებას.

# სესხები გააიაფეთ, ხალხის მყვლეფელნო!

## საქართველოში იპოთეკური სესხები რეგიონში ყველაზე ძვირია, რაც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას აფერხებს...

**მსოფლიოს** **მასშტაბით, იპოთეკური სესხი ყველაზე იაფი ფინეთშია, ყველაზე ძვირი კი არგენტინაში. ამის შესახებ გლობალური საერთაშორისო კომპანია NUMBEO-ს მონაცემებში ვკითხულობთ.**

რეიტინგის მიხედვით, იაფი იპოთეკური სესხებით, 103 ქვეყანას შორის, საქართველო 88-ე ადგილს იკავებს, სადაც საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ 12,12% -ს შეადგენს.

**„საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე** ამბობს, რომ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთებს ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს და თუ დაბალი საპროცენტო განაკვეთები გვსურს, საჭიროა სწრაფად ვვითარდებოდეთ და ინფლაციის დონეც დაბალი იყოს.

**„ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები იმის შესაბამისია, როგორი ეკონომიკური მდგომარეობაც აქვს მას, შესაბამისად ჩვენ უნდა შევედაროთ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც განვითარების დაახლოებით ჩვენნაირ ეტაპზე არიან და ამის მიხედვით უფრო ობიექტური იქნება იმის დასკვნა, საქართველოში საპროცენტო განაკვეთები როგორია. თუ გვინდა დაბალი საპროცენტო განაკვეთები, ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ეკონომიკა წინ მიდიოდეს, უფრო სწრაფად ვიზრდებოდეთ და საერთაშორისო რეიტინგებში დავწინაურდეთ. რეფინანსირების განაკვეთი მინიმუმ 9%-ია, რასაც ბანკის პროცენტი ემატება, მაგრამ უცხოურ ვალუტაში იპოთეკური სესხი ისტორიულ მინიმუმზეა. თუ გვინდა, შევედაროთ აშშ-ს, გერმანიას და პოლონეთს, ეკონომიკური მდგომარეობით მათ უნდა მივუახლოვდეთ. უძრავი ქონების დიდი უმრავლესობის შეძენა იპოთეკური სესხით ხდება, თუ სესხზე საპროცენტო განაკვეთი იმატებს, ქონების გაყიდვა თავისთავად შემცირდება. საპროცენტო განაკვეთები იმის გამო გაიზარდა, რომ ინფლაცია მაღალი იყო, შემდეგ ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკა გაამკაცრა, რამაც ეკონომიკური ზრდა შეანელა და ეს უძრავი ქონების ბაზარზე თავისთავად უარყოფითად აისახა“,** – განმარტავს გიორგი კეპულაძე.

**თავისუფლებისა და დემოკრატიის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ანა გოგოლაძე** მიიჩნევს, რომ იპოთეკური სესხის მაღალ საპროცენტო განაკვეთს საქართველოში მონოპოლიზებული საბანკო სექტორი და არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო განაპირობებს.

**„იპოთეკური სესხი არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანს თავის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება შეუძლია. საქართველოს პირობებში სადაც ხელფასი, „საქსტატის“ აბსურდულ მონაცემებს თუ არ გავითვალისწინებთ, საშუალოდ 500-600 ლარია, გამოდის რომ ერთადერთი საშუალება იმისა, რომ ადამიანმა უძრავი ქონება შეიძინოს – იპოთეკური სესხია. ის, რომ სესხები მაღალია, ამის ერთ-ერთი ფაქტორი მონოპოლიზებული საბანკო სექტორია, იმის მიუხედავად რომ ქვეყანაში 19 კომერციული ბანკია, რეალურად ბაზარი 4 დიდ ბანკს აქვს „დაპყრობილი“. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ამ ბაზარზე არასახარბიელო მდგომარეობაა, საერთაშორისო კომპანიების გასვლა მოწმობს, მაგალითად Societe Generale-მა და „ლიბერთი ბანკის“ უცხოელმა პარტნიორმა ბაზარი მალევე დატოვეს. ქვეყანაში რეალურად 4 ბანკი წყვეტს, რა უნდა იყოს საქართველოში სესხის ფასი. მაღალ სესხს არასტაბილური მაკროეკონომიკური გარემო და მაღალი ინფლაციაც განაპირობებს. თუ გავიხსენებთ ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ რეგულაციებს, ამან კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩააგდო მსესხებლები და დეველოპერები, რადგან ჩვენ ვიცით, რომ სამშენებლო სექტორი ყველაზე მეტად რაზეც წუხდა, საბანკო რეგულაციების შემდეგ კიდევ უფრო შემცირებული გაყიდვები იყო.**

**აღსრულების მაჩვენებლებიც კი ამაზე მიუთითებს, აღსრულებაში იპოთეკური სესხით უზრუნველყოფილი ქონების რაოდენობა გაიზარდა, იმიტომ რომ, ხალხი ვეღარ ახერხებს მაღალპროცენტიანი სესხების გადახდას.**

**ამ მონაცემების მიხედვით, რეგიონში ძალიან ცუდი მაჩვენებელი და ყველაზე ძვირი სესხი გვაქვს, სესხის სიიაფით გვისწრებს აზერბაიჯანიც, სომხეთიც და რუსეთიც, რაც საინვესტიციო თვალსაზრისითაც ცუდია, რადგან რომელიმე დეველოპერს რომ უნდოდეს ქვეყანაში შემოსვლა, ეს შეიძლება, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს. ძვირი სესხი ავტომატურად ნაკლებ მყიდველს ნიშნავს, იმ პირობებში როდესაც იპოთეკური სესხი ქვეყანაში ასეთი ძვირია, ეს თავისთავად სამშენებლო ბიზნესს აზარალებს და უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას აფერხებს. თუ იპოთეკური სესხი გაიაფდება, ეს თავისთავად მომიჯნავე სექტორებზეც დადებითად აისახება“,** – განაცხადა ანა გოგოლაძემ.

ALსანიშნავია, რომ TOP-10 ქვეყანა, სადაც იპოთეკური სესხები ყველაზე იაფია, შემდეგია:

| | |
|---|---|
| 1. ფინეთი | – 1,46%; |
| 2. იაპონია | – 1,48%; |
| 3. სლოვაკეთი | – 1,60%; |
| 4. შვეიცარია | – 1,61%; |
| 5. საფრანგეთი | – 1, 64%; |
| 6. დანია | – 1,77%; |
| 7. ბელგია | – 1,82%; |
| 8. გერმანია | – 1,88%; |
| 9. ტაივანი | – 1,89%; |
| 10. იტალია | – 1,99%. |

**ნინო თამაზაშვილი**

## თეა წულუკიანი: რუსეთის „ავიწყდება“, რომ ვალდებულება უპირობოა

**რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ ე.წ. დეპორტირებულების საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული 10 მილიონი ევრო საქართველოს არ ჩაურიცხოს!**

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, დავაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

**„რუსეთთან ე.წ. დეპორტირებულების საქმეზე დავა დავიწყეთ იქიდან, როცა რუსეთი ამბობდა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დეპორტაციას და კოლექტიურ გამოძევებას ადგილი არ ჰქონია და არც უკანონო პატიმრობები ყოფილა სახეზეო. ჩვენ ეს დავა მრავალი წლის პროცედურული პერიპეტიების შემდეგ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მოვიგეთ. თავიდან სია იყო წარდგენილი ძალიან მცირე, რადგან ჩვენ, საქართველოს ხელისუფლება მივიჩნევდით, რომ შეიძლებოდა, საილუსტრაციო სიის საფუძველზე უბრალოდ დარღვევები დადგენილიყო, თუმცა, მერე ვნახეთ, რომ რუსეთს შეეძლო, ამით ესარგებლა და ასეულობით ადამიანის კონკრეტული შემთხვევა წარვადგინეთ, სრულყოფილი სია შევქმენით. რა თქმა უნდა, ამან დაასუსტა რუსეთის პოზიციები, ამის წყალობით ჩვენ სტრასბურგის სასამართლოში დავა მოვიგეთ. დავაზე გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება. რუსეთი უკვე მინისტრთა კომიტეტის წინაშე ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს და ყველაფერს აკეთებს პროცედურულად იმისთვის, რომ 10 მილიონი ევროს ოდენობის თანხა საქართველოს არ ჩაურიცხოს. ამას აქვს მხოლოდ ერთადერთი არგუმენტი დარჩენილი, რომელიც აბსოლუტურად უსაფუძვლოა. რუსეთი ამბობს, რომ 10 მილიონი ევრო საქართველოს კი არ უნდა ჩავურიცხო, არამედ, საქართველომ უნდა მითხრას, ამ თანხას რომ ჩავრიცხავ, ვისზე განაწილდებაო“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი განმარტავს, რომ საქართველოს შესაბამისი სია წარდგენილი აქვს.

# არ უნდა თქვა და აკეთო მიუღებელი რამ...

**გაერთიანებული ოპოზიციის სია დიდად განსხვავებული არ იქნება იმ სახეებიდან, რომელთაც ვხედავთ ლეიბორისტების მაგიდასთან...**

(მესამე გვერდიდან)

**— „ნაციონალები“ ამბობენ, რომ დასახელებულ კანდიდატთა მთავარი კრიტერიუმი კონკრეტულ უბანში მათი ცნობადობაა.**

— სხვანაირად ისინი ვერც დააკომპლექტებენ ამ სიას, უცნობებს ვერ წამოაყენებენ კანდიდატურებად, ცნობადებზე შეაჩერებენ არჩევანს, რადგან ცნობადობა ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებისთვის, ან ბრძოლისთვის. ცხადია, მათ მიერ წამოყენებული პერსონები ცნობადები არიან, ვინ არ იცნობს ელენე ხოშტარიას, შალვა ნათელაშვილს, ზაალ უდუმაშვილს, ნიკა მელიას, მაგრამ საქმე ის არის, როგორ იცნობენ ამ ადამიანებს. ეს პერსონები მართლაც ოპოზიციის დამარცხების ფორმულას განაპირობებენ, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს — უარყოფითი ცნობადობის, უარყოფითი რეიტინგის ფაქტორს. ყველა იცნობს მათ, მაგრამ მათ მიმართ განწყობა უარყოფითია და ეს არის მთავარი. მით უმეტეს, უარყოფითი განწყობა მატულობს იმ ტაქტიკისა და სტრატეგიის გამოც, რომელიც მათ აირჩიეს. ეს არის წმინდა დესტრუქციის ტაქტიკა და სტრატეგია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ მათი კრიტიკა პირადი შეურაცხყოფის გარდა არაფერს მოიცავს. მოიცავს მხოლოდ უარყოფას, აგრესიას, დესტრუქციას, გაცვეთილ პროვოკაციულ მოქმედებებს, სრულიად უნიჭო პერფორმანსებს. შეიძლება ეს ყველაფერი გულს ფხანდეს „ოცნებაზე“ განაწყენებულ ამომრჩეველს (და განაწყენებული რომ არის ამომრჩეველი, ესეც არ არის დასამალი), მაგრამ ეს ყველაფერი საბოლოდ „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშავებს, ვინაიდან კითხვა აღეძვრება ჩვეულებრივ ადამიანს: რა მოხდება, თუკი „ნაცები“ და „ევრონაცები“ მოვლენ ხელისუფლებაში? ცხადია, ბევრ ადამიანს გაახსენდება ის „საქმენი საგმირონი“, რაც ასე უხვად ჰქონდათ ჩადენილი, მათ შორის, სწორედ ამ პერსონაჟებს, აღარაფერს ვამბობ იმ პერსონებზე, ვისაც ისინი წარმოადგენდნენ იმ პერიოდში. ამიტომ წინასაარჩევნოდ სრულიად პროგნოზირებადია მათი პერსპექტივა.

**— ოპოზიცია დიდ იმედს ამყარებს მიხეილ სააკაშვილზე, როგორც გავლენიან პოლიტიკოსზე, როგორც მას გუბაზ სანიკიძე უწოდებს. გუბაზ სანიკიძე მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში სიყვარულსა და სიძულვილზე ლაპარაკს თავი უნდა დავანებოთ, რადგან ორივე აბრმავებს — პირველი თავისი სინათლით და მეორე თავისი სიბნელით. ეს ლოგიკა რამდენად გასაგებია?**

— სამწუხაროდ, კომიკური პერსონაჟი გახდა გუბაზ სანიკიძე, რომელიც დიდაქტიკური ტონით ისეთ თეზისებს გვთავაზობს, ისეთ აბსურდებს იძახის და წინააღმდეგობაში მოდის თავის გამონათქვამებთან, რომ ყველასთვის ცინიკური ხდება.

**— რა ეგულებათ მიშასთან? ფინანსები?**

— რა თქმა უნდა, ფინანსები. გარდა ამისა, სააკაშვილს ჰყავს თავისი, რბილად რომ ვთქვათ, ელექტორატი, რომელთათვის არაფერს არ აქვს მნიშვნელობა, მათ სააკაშვილი ჰყავთ კერპად და რაც არ უნდა გააკეთოს და ილაპარაკოს სააკაშვილმა, მის ნათქვამს აღტაცებით ხვდებიან. ალბათ, ტომები დაიწერება მიშას მიერ გამოთქმული „მარგალიტების“ შესახებ, ჯერ რამდენჯერ თქვა უარი საქართველოზე ღია ეთერში, აღარ ვარ მე ქართველი, უკრაინელი ვარ ამჟამადო, შემდეგ სახურავზე დარბოდა... მოკლედ, რაც მაგას აქვს ნალაპარაკევი და რა საქციელიც აქვს ჩადენილი ჯერ საქართველოში, მერე უკრაინაში, ადამიანთა დაახლოებით 15%-ისთვისაა მისაღები, რომლებიც, როგორც უკვე გითხარით, ოღონდ დაარწმუნე, რომ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებდა სახელმწიფოებრივი წესრიგისთვის, კორუფციის წინააღმდეგ, ცუდი ბიჭების წინააღმდეგ და ნათელი მომავლისთვის, ყველაფერს დაიჯერებენ. სინამდვილეში, რა ჰქვია ამ „ნათელ მომავალს“ — კომუნიზმი თუ გვირაბში შესვლა, სააკაშვილის მომხრეებს დიდად არ აინტერესებთ.

**— ევროკავშირის ელჩის კარლ ჰარცელის თქმით, ოპოზიციისა და ხელისუფლების მოლაპარაკების ფანჯარა იხურება. ამის მიუხედავად, ცალკეული ოპოზიციონერების რეკომენდაციაა, გაუშვან წულუკიანი და ვოლსკი ევროპაში ორი კვირით და ყველაფერი მოგვარდება. მოლაპარაკების რესურსს ხედავთ?**

— ჯერ ერთი, თავის დროზე პროპორციული არჩევნების თემა რომ არ შეეთავაზებინა ბიძინა ივანიშვილს, საერთოდ არ იდგა ეს საკითხი. კარგით, მან თქვა ასეთი რამ და შემდეგ გადათქვა. საერთოდაც, რატომ თქვა და ვინ ურჩია პროპორციული არჩევნების შეთავაზება, ესეც გაუგებარია, საიდან მოვიდა ეს მოდელი — პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით? ეს ხომ ნოუ-ჰაუ იყო, რომელიც მხოლოდ ჩვენ უნდა გვქონოდა. სინამდვილეში, ისეთ საფრთხეებს შეიცავდა ეს მოდელი, რომ ამ საფრთხეების განეიტრალება არა მგონია, შეგვძლებოდა. ახლა, გარკვეულ მიზეზთა გამო არ დავასახელებ ამ საფრთხეებს, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში არსებობს დემოგრაფიული საკითხები, ტერიტორიული მოწყობის საკითხები, რელიგიური, გეოპოლიტიკური პრობლემები, მთავრობის ფორმირების სიძნელეებზე აღარაფერს ვამბობ. ეს საკითხები არავის აინტერესებს, ყველას ერთი რამ სურს — რამენაირად პარლამენტში მოხვდეს, ნაცვლად იმისა, გამოსულიყვნენ და, პირიქით, გაეკრიტიკებინათ ივანიშვილი პროპორციული არჩევნების შეთავაზების გამო. ამით გაცილებით მეტ სიმპათიას მოიპოვებდნენ, **მათ შეეძლოთ ეთქვათ: რას ამბობს ივანიშვილი, ჩვენი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი იმისთვის, რომ ავიცილოთ საფრთხეები თუნდაც სხვადასხვა სექტების მხრიდან თავისი წარმომადგენლების გაყვანის თვალსაზრისით. 13 ათასი კაცი სჭირდება გაყვანას, სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფს შეეძლო დაერეგისტრირებინათ პარტიები და შემდეგ თავიანთი ინტერესების შესაბამისად ემოქმედათ, ამის საფრთხე არსებობდა და ეს არ იყო რთული. მსგავსი მოდელი ამ მიზეზების გამო და იმის გამოც, რომ პარლამენტი არ გადაიქცეს ბალაგანად, არ არსებობს თვით მაღალი კულტურის ქვეყნებშიც კი.**

მაკა ცინცაძესთან, ტელეეთერში, ახალ წლამდე ვთქვი, რომ ეს მოდელი, რომელიც არსებობდა საქართველოში, რეფერენდუმის შემდეგ იყო დადგენილი. 2005 წელს პარლამენტმა დაადგენილება მიიღო, რაც სამართლიანი იყო, შეესაბამებოდა რეფერენდუმის შედეგებს, მაგრამ სააკაშვილმა ვოლუნტარისტულად, დარღვევით შემოიღო დღეს არსებული მოდელი. ამიტომ უნდა დაბრუნებულიყო 100/50-ზე მოდელი. ვფიქრობ, დღევანდელი მოდელი, გარკვეულწილად, „ნაცმოძრაობასაც“ აწყობს. ისინი ფიქრობენ, რომ იდეოლოგიურადაც ეს მისცემს მათ გარკვეულ ფორას, რომ ჩვენ თქვენ დაგთანხმდით, მაგრამ მაინც დაგამარცხებთ. ყოველ შემთხვევაში, „ნაცებს“ ასე უნდათ, წარმოაჩინონ. გარდა ამისა, ისინი თავს იზღვევენ შესაძლო დამარცხებისთვის, რათა მერე დაადანაშაულონ „ოცნება“ არჩევნების გაყალბებაში, რადგან ძნელად წარმოსადგენია, „ოცნებამ“ დაუთმოს მაჟორიტარული ოლქები ოპოზიციას. 100/50-ზე მოდელი ოპოზიციამ უარყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ უპასუხისმგებლობას.

**— ოპოზიცია ითხოვს პოლიტპატიმრების გამოშვებას. ამის გარეშე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების რესურსს ხედავთ?**

— მოლაპარაკების რესურსს უკვე ვერ ვხედავ. მაქსიმუმი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის 100/50-ზე, მაგრამ ამასაც, მე მგონი, „ნაცმოძრაობა“ ბლოკავს. არადა, ეს მოდელი გაცილებით უკეთესი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის.

**— ოპოზიცია მოითხოვს, არჩევნებამდე გამოცხადდეს მორატორიუმი დაჭერებთან დაკავშირებით, გონივრული იქნება მორატორიუმი?**

— საერთოდ, ჩვენ რომ უფრო მაღალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანა ვიყოთ, გარკვეულ წითელ ხაზებზე უნდა შევთანხმდეთ, იქნება ეს მოქმედებები თუ ვორდინგი, ანუ რიტორიკა. არ შეიძლება სიძულვილი, უხამსობა, ცილისწამება, უნიჭო პერფორმანსები, ვოდევილური გამოხტომები, საშინელი საინფორმაციო ფონი. ეს ქვეყნისთვის კატასტროფაა. რაც არ უნდა კარგი მოხდეს, ცალკეული საინფორმაციო საშუალებები ამას მაინც ცუდად აღიქვამენ, მათ სძულთ ყოველგვარი პოზიტივი, ცუდ ინფორმაციას კი პოზიტიურად წარმოაჩენენ, მოკლედ, გაუკუღმართებული სარკეების ქვეყნად ჩამოვყალიბდით.

ამიტომ გარკვეულ კონსენსუსამდე თუ არ მივედით, ისე ვერ განვითარდება ჩვენი ქვეყანა. თუნდაც ინდიკატორების ომი ავიღოთ, ამ მხრივ რა ვითარებაა? ერთი მხრივ, ამერიკელი კონგრესმენების წერილები წარმოისახება საქართველოს სრული განადგურება-დაცემის უტყუარ ნიშნად და, მეორე მხრივ, გვაქვს იმავე დასავლური ინსტიტუციების — მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ნაუმანის ფონდის დადებითი შეფასებები საქართველოს ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით, ანუ იმავე კრიტერიუმებით, რითაც თავს იწონებდა 9 წელი „ნაცმოძრაობა“, იგივე დასავლური ინსტიტუტები როცა აფასებენ „ოცნების“ ხელისუფლების გარკვეულ მიღწევებს დადებითად, მათ მიმართ აგრესიული ტონი იგრძნობა ოპოზიციის მხრიდან, რაც სრული აბსურდია. მორატორიუმს რაც შეეხება, ადამიანის შინაგანი კულტურა უნდა არსებობდეს, რომ არ გააკეთო და არ თქვა მიუღებელი რამ.

**მანანა ნოზაძე**

**ვუძღვნი ჩემი რეპრესიების დროინდელი მეგობრის, საბჭოთა ციხე-ბანაკებში ტანჯული პოლიტპატიმრის თეიმურაზ ჟანტურიშვილის ხსოვნას**

# მცირემასშტაბიანი ფაშიზმი უროვანტიზმოდ

**ალეკსეი ლოსევის „მითის დიალექტიკიდან“ (თბილისი, 2017) იკვეთება, რომ მითი არ არის იდეალური ცნება, არ არის პოეტური ხატოვნების სახე, არ არის მეცნიერება, არ არის დოგმატი. „მითი არის თავად სიცოცხლე“, „სიცოცხლისეულად შეგრძნობილი და შექმნილი, ნივთიერი რეალობა და სხეულებრიობა“, „მითი არის თავად ყოფიერება, თავად რეალობა, თავად კონკრეტული ყოფიერება“. ეს „პიროვნების ენერგიული თვითდამტკიცებაა გამომხატველობით ფუნქციებში“, ეს „პიროვნების ხატებაა“, „პიროვნების სახეა“ და არა მისი სუბსტანცია. მითი არის სიტყვებში მოცემული პიროვნული ისტორია. იგი არის სასწაული, როგორ სასწაულად და მითადაც გვევლინება მთელი სამყარო.**

მაგრამ სულ სხვა ვითარებაა, როდესაც მითს ხელოვნურად ქმნიან. 1922 წლის 24 ოქტომბერს ნეაპოლში თავის ცნობილ გამოსვლაში ბენიტო მუსოლინი ასე იტყვის: „ჩვენ შევქმენით ჩვენი მითოსი. მითოსი არის რწმენა, გატაცება; არ არის აუცილებელი, რომ იგი სინამდვილედ იქცეს. მითოსი იმდენად არის სინამდვილე, რამდენადაც ის სტიმულია, იმედია, რწმენაა, მამაცობაა. ჩვენი მითოსი ნაციაა, ნაციის დიდებულება! და ეს მითოსი, ეს დიდება გვსურს, სრულყოფილ სინამდვილედ გადავაქციოთ, მას ყველაფერი დავუქვემდებაროთ“.

მუსოლინის „ფაშიზმმა“ დაამკვიდრა მითოსი „იტალიანიტა“ და მისგან ელოდა „მარადიული რომის“ ნაციონალურ კვლავაღორძინებას.

ალფრედ როზენბერგი თავის გახმაურებულ წიგნში „მე-20 საუკუნის მითოსი“ გამოიხმობს სვასტიკის სიმბოლურ ფიგურაში „ნორდიული რასიული სულის მითოსს“ და იმ „სისხლიან მითოსს“, რომელსაც ძველ გერმანელებში განასახიერებდა ომის ღმერთი ოდინი, რომელიც ახლა კვლავ უნდა აღორძინდეს.

ნაციის ცნების გაფეტიშება თავის მწვერვალს აღწევს ნაციონალ-სოციალიზმის პროპაგანდაში — იოზეფ გებელსის წიგნში „მეორე რევოლუცია“.

რასაც წარმოადგენს ფაშისტური ძალმომრეობა, ამას კარგად განმარტავს გერმანელი ფილოსოფოსი **ერნსტ ნოლტე** წიგნში **„ფაშიზმი თავის ეპოქაში“** (მიუნხენი, 1963): „ფაშისტური ძალმომრეობის ნიშნები არ არის შემთხვევითი, არამედ ორგანიზებულია; მისი სისასტიკე სულაც არ მომდინარეობს ველური ვნებებისგან; იგი ისწრაფის არა უბრალოდ **თავისი მოწინააღმდეგის ჩამოშორებისკენ, არამედ ასევე მისი ფიზიკური დაშინებისკენ და მორალურად მისი სახელის გატეხისკენ... იგი არა იმდენად თვითდამტკიცებაა, რამდენადაც შურისძიება და დამსჯელი ექსპედიცია“.**

ახლა, ამ დახასიათებას რომ მოვაცილოთ მუსოლინისა და როზენბერგის რომანტიზმი, მივიღებთ პატარა მასშტაბში ფაშიზმს, რასაც საქართველოში ახორციელებდა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** და მისი თავკაცი. მკითხველი და, განსაკუთრებით, სააკაშვილის რეჟიმისგან გაუბედურებული ხალხი (მათი რიცხვი კი დიდზე დიდია) თავად შეამჩნევს ამ სისხლიანი რეჟიმის ტოლობას ფაშიზმთან.

ამ დღეებში ციხიდან გამოუშვეს ამ სისხლიანი რეჟიმის მთავარი შემოქმედი (სააკაშვილისა და ბოკერიას შემდეგ), ყოფილი პოლიციის მინისტრი ვანო მერაბიშვილი, გარეთ მასსავით კრიმინალები დახვდნენ, კრიმინალური პარტიის წარმომადგენლები და ვანომ თავი მოიწონა — **ხელისუფლებას დამხობით დაემუქრა!** ვფიქრობ, მას პატიმრობა რომ გაეტარებინა საბჭოთა „სუკის“ ციხის ვიწრო კამერაში, ნაცვლად დღევანდელი კეთილმოწყობილი საკნისა მრავალარხიანი ტელევიზორით, იგი ველარ გამართავდა „მიღებებს“ მის სანახავად მისული ევროპარლამენტარებიდან დაწყებული და გათავებული მისი ერთგული, „დიდად ინტელექტუალურ“ სახალხო დამცველ ლომჯარიათი დამთავრებული.

დიდი რუსი ფილოსოფოსი **ვლადიმირ სოლოვიოვი** თავის თხზულებაში **„სიკეთის გამართლება“,** წერს: **„არსებობს უგუნური პატრიოტიზმი, რომელსაც, ნაცვლად სასურველი სარგებლობისა, მოაქვს ზიანი და ხალხები მიჰყავს დაღუპვისაკენ, არსებობს ცარიელი პატრიოტიზმი, რომელიც გამოხატავს მხოლოდ უსაფუძვლო პრეტენზიას, დაბოლოს, არსებობს პატრიოტიზმი პირდაპირ ცრუ, რომელიც წარმოადგენს ნიღაბს მდაბალი, ანგარებიანი განზრახვებისთვის“.**

ჩემი ღრმა რწმენით, **ამ ცრუ, ანგარებიანი პატრიოტიზმის წარმომადგენლები არიან ხაზინის გამყვლეფი გიგი უგულავა და ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ორჯერ უღალატა თავის პარტიელებს — ერთხელ, როდესაც სისხლში მცურავი მომხრეები 26 მაისის ღამეს ბედის ანაბარად დატოვა და მანქანით სახლში გასრიალდა, ხოლო მეორედ, როდესაც „განათლებული“, „უანგარო“ ნათელაშვილის დარბაზში სათათბირო მაგიდასთან ბოკერიას გვერდით ვიხილეთ.**

ვინმეს რომ არ ეგონოს, რომ მხოლოდ ახლა „გავმამაცდი“ მას შემდეგ, რაც სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა, მივუთითებ ჩემს ექვსასგვერდიან წიგნზე **„ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“** (თბილისი, 2006), სადაც სააკაშვილი გვარიანად მყავს გათათხული მასზე უარეს პრეზიდენტთან ერთად. სხვა რამის გაკეთება მაშინ არ შემეძლო, არც ერთი გაზეთი ამას არ დაბეჭდავდა.

**Post tenebras spero lucem — ვიმედოვნებ სინათლეს წყვდიადის შემდეგ.**

**ვიქტორ რცხილაძე**

# ვანო მერაბიშვილი და უალკოჰოლო ლუდი

**ტრაგიკული** და კომიკურია ერთად, თან მორალისა და სინდისის **მშრალად შენარჩუნება გინდოდეს და ამიტომ გმობდე ვანო მერაბიშვილს და თან იდგე „ნაციონალურ მოძრაობასთან“,** — ამბობს ანალიტიკოსი **გური სულთანიშვილი** POSTV-ის ვიდეობლოგში.

„ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებამ ბევრი რამის კრისტალიზაცია შეძლო, განსაკუთრებით კი იმის, როგორი კომიკურები, ინტელექტუალურად გაბანკროტებულები და დეფორმირებული სინდისის მქონე ხალხია „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო შემოკრებილი ოპოზიციური აქტორები, ანუ ისინი, რომლებიც ამბობენ, ნაცები არ ვართო, მაგრამ მაინც მათ გვერდით დგანან. უფრო ზუსტად კი ისინი, ვინც მანამდე ებრძოდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო ახლა ერთად დგანან და მიიჩნევენ, რომ უპატიებელი ნაცებს არც არაფერი გაუკეთებიათ. რაკი ერთად დგანან, ეს ნიშნავს, რომ აპატიეს.

ერთი მხრივ, შალვა შავგულიძემ დაგმო ვანო მერაბიშვილი, მე მაგის გვერდით ვერ დავდგებიო. მეორე მხრივ, ნინო ჯანგირაშვილმა — ვანო ჩემთვის ჯალათთან ასოცირდებაო. ბესელიამაც დაახლოებით იგივე თქვა. ახლა გუბაზმაც უნდა დაგმოს ვანო და შეიკვრება არათანმიმდევრულობის სრული სპექტრი. ნახეთ, როგორ შეიძლება გმობდე ვანოს, მაგრამ იდგე ნაციონალებისა და „ევროპული საქართველოს“ გვერდით, მოგწონდეს, მაგალითად, გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია და ემიჯნებოდე ვანოს. ეს იგივეა, ემიჯნებოდე ლუკა ბრაზის, იმიტომ რომ ძალადობრივ მაფიოზურ ოჯახს გამოხატავს, მაგრამ მაინც იდგე კორლეონეების ოჯახის გვერდით. ანდაც, როგორც ტარანტინოს „უსახელო ნაბიჭვრებშია“, არ მოგწონდეს ჰანს ლანდა, რადგანაც ის იმ რეჟიმის ძალადობრივი სახეა, ემიჯნებოდე მას, მაგრამ მაინც თანამშრომლობდე ნაცისტებთან.

**ანომალიაა, ხომ?**

**მოკლედ, ამ მდგომარეობას ჩვენზე უკეთ სლოვენიელი ფილოსოფოსი სლავოი ჟიჟეკი შეაფასებდა, რომელმაც ასეთ სიმულაციურ ვითარებას უკოფეინო ყავის კონდიცია დაარქვა. ჩვენ ყავა მოგვწონს მისი მთავარი თვისების, კოფეინის გამო, მისი გამოცლით კი საფუძველს ვაცლით და მხოლოდ რიტუალად ვტოვებთ მას. ასეთია კიდევ უალკოჰოლო ლუდი, ანუ საგნები დაცლილი მათი მთავარი მნიშვნელობებისგან.**

დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა, ერთი მხრივ, ებრძოდე ნაციონალებს, შემდეგ გაერთიანდე მათთან და თან ემიჯნებოდე ვანო მერაბიშვილს. გინდოდეს ნაციონალები, მათი მთავარი თვისებების გარეშე, ეს უალკოჰოლო ლუდის მიღებაა, ეს ნახევრად ორსულის მდგომარეობაა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. ადამიანი ან არის ორსული, ან — არა, ნახევრად ორსული არ არსებობს. ამიტომაც ტრაგიკული და კომიკურია ერთად, თან მორალისა და სინდისის მშრალად შენარჩუნება გინდოდეს და ამიტომ გმობდე ვანო მერაბიშვილს და თან იდგე „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

**ვანო მერაბიშვილის პრობლემა არ არის პერსონალური, მისი პრობლემა არა მის პერსონაში, არამედ „ნაციონალურ მოძრაობაშია“, იმ პერიოდში, იმ ძალადობრივ პოლიტიკაში. მისი პრობლემის პერსონაში გადატანით ივიწყებთ სისტემურ ძალადობას და, ზოგადად, სისტემას“,** — ამბობს **გური სულთანიშვილი.**

# წელს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მილიონზე მეტ მგზავრს ელოდებიან!

**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი სამგზავრო ტერმინალი, რომელიც არსებულ ტერმინალზე ოთხჯერ დიდი იქნება, შემოდგომიდან ჩადგება მწყობრში.** ახალი ტერმინალის მშენებლობა დასრულებულია. მიმდინარეობს საინჟინრო-კომუნიკაციების მოწყობა. სამუშაოები „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა თამარ არჩუაძემ დაათვალიერა.

**„ამ ეტაპზე ვიწყებთ ახალი ტერმინალის სარემონტო სამუშაოებს, რომელიც შემოდგომაზე დასრულდება და მგზავრების მიღებას შეძლებს. ახალი ტერმინალი საათში 1200 მგზავრის მომსახურების საშუალებას მოგვცემს. რაც არსებულ გამტარუნარიანობაზე 4-ჯერ მეტია,“** — განაცხადა თამარ არჩუაძემ.

ახალი ტერმინალის სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება არსებული ტერმინალის სარემონტო სამუშაოები, რის შემდეგაც ორივე ტერმინალი გაერთიანდება და აეროპორტს ექნება საერთო ტერმინალი მოფრენისა და გაფრენის დარბაზებით და ყველა იმ აღჭურვილობით, რომელიც აეროპორტის ოპერირებისთვის არის საჭირო.

**„ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი ყოველწლიურად იზრდება. ევროპის მასშტაბით ვართ მეორე ადგილზე იმ აეროპორტებს შორის, რომლებთაც 5 მილიონზე ნაკლები მგზავრთნაკადი აქვს. წელს ქუთაისის აეროპორტში მილიონზე მეტ მგზავრს ველოდებით. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა აეროპორტის გაფართოების აუცილებლობა, რათა მგზავრებს უფრო კომფორტულად და შეუფერხებლად მოვემსახუროთ“,** — განაცხადა თამარ არჩუაძემ.

# ლამარა ჭყონია – საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მომღერალი

**1962 წლის ნოემბერში კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრი საგასტროლოდ მოსკოვში ჩავიდა, რომლის შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულე ლამარა ჭყონიაც გამოდიოდა. ყრილობათა სასახლეში ჩატარებულ სპექტაკლებს დიდი წარმატება ხვდა წილად. კიეველთა საერთო წარმატებაში ქალბატონმა ლამარამ თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანა ელზას პარტიის შესრულებით რიჰარდ ვაგნერის ოპერაში „ლოენგრინი“. თეატრის გასტროლების ბოლო დღეს გაიმართა გალა კონცერტი, სადაც ლამარა ჭყონიამ იმღერა პაჟის არია მეიერბერის ოპერა „ჰუგენოტებიდან“. გამოსვლა მართლაც შთამბეჭდავი იყო, რასაც დამსწრეთა ხანგრძლივი ოვაცია მოჰყვა.**

ამ საღამოსთვის ქალბატონმა ლამარამ სპეციალურად შეაკერინა შინდისფერი ხავერდის ულამაზესი კაბა. ჯერ კიდევ კონცერტის მსვლელობისას კულისებში შემსრულებებთან ავადსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩოვის სიძე, თეატრის მაშინდელი დირექტორი ვიქტორ გონტარი შევიდა და განუცხადა, რომ კონცერტის დასრულების შემდეგ, იქვე ყრილობათა სასახლეში დამსახურებულ მუსიკოს-შემსრულებელთათვის გამოსათხოვარ ბანკეტს მართავდა ცეკას შეფი ნიკიტა ხრუშჩოვი. ბანკეტს შემსრულებელთა გარდა უკრაინის რესპუბლიკის რამდენიმე პარტიული ხელმძღვანელიც ესწრებოდა. ხრუშჩოვი, როგორც მასპინძელი, ყველას ღიმილით შეხვდა, წარმატება მიულოცა და გაშლილ სუფრასთან მიიწვია. მან ვიქტორ გონტარს ხელით ლამარა ჭყონიაზე ანიშნა და ხმამაღლა უთხრა: – ეს შავთვალა, მშვენიერი გოგონა სუფრის თავში, ჩემ გვერდით დასვითო! ნიკიტა ხრუშჩოვის ერთ მხარეს მისი მეუღლე იჯდა, ხოლო მეორე მხარეს ლამარა ჭყონია! დასაწყისში ყველა დაძაბულად გრძნობდა თავს. დაძაბულობა ნიკიტა ხრუშჩოვმა განმუხტა, როდესაც კონიაკით სავსე ფუჟერი გადაჰკრა და სხვებსაც მოუწოდა, მისთვის მიებაძათ. არაერთი სადღეგრძელო შესვა ხრუშჩოვმა. ამასობაში ყველა შეზარხოშდა, ლამარა ჭყონიას გარდა. თავიდან ხრუშჩოვი თავაზიანად იქცეოდა, ჯენტლმენობის გამოჩენა სურდა და ქალბატონ ლამარას სხვადასხვა კერძებს სთავაზობდა. როცა მან საკმაო რაოდენობის კონიაკი მიირთვა, დაიწყო ეპიზოდების გახსენება თავისი ცხოვრებიდან. ამ ეპიზოდების მთავარი მოქმედი გმირი იოსებ სტალინი გახლდათ. ხრუშჩოვი მოურიდებლად, ზიზღით და შურით ახსენებდა სტალინს. ამბობდა, რომ სტალინი მხოლოდ ქართულ ღვინოს სვამდა და თავშეუკავებელი სმა იცოდაო (რაც აბსოლუტური სიცრუეა, ქალები უყვარდა და მათ მიმართ დაუნდობელი იყო, მუსიკალური სმენა საერთოდ არ ჰქონდა, მოხსენებებს სხვები უწერდნენ, არ იცოდა ადამიანების დაფასება და გარშემო მყოფთა მიმართ იყო სასტიკიო, ყველას დასცინოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, არ დამალა, რომ მათ შორის მეც ვიყავიო. თურმე, ნუ იტყვით, სტალინს მისთვის ჩიბუხიც კი ჩაუკაკუნებია თავში. ეს ჩვენი ნიკიტა თავისი სულელური მოგონებებით ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გასცდა... ლამარა ჭყონია მონუსხული უსმენდა ამ ყველაფერს, ჭამის მადაც კი დაკარგა, მხოლოდ წყალს სვამდა. ეტყობა, ხრუშჩოვის მეუღლეც შეწუხდა, დროდადრო პერანგზე ქაჩავდა ქმარს: „ნიკიტუშკა, უკვე გვიან არის, გეყოფა ამდენი სმა, წასვლის დროა!“ ნიკიტუშკა ყურსაც არ უგდებდა და ისევ თავისას მიერეკებოდა.

კიევის საოპერო თეატრის რუსი ეროვნების რეჟისორმა ირინა მოლოსტოვამ სიტყვა მოითხოვა და თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ თავის საქმიანობაში სწორი მიმართულება აირჩია, ჩვენთან დემოკრატიული და ინტერნაციონალური სულისკვეთება სუფევსო, უკრაინელებთან ერთად თეატრში მოღვაწეობენ რუსები, ებრაელები, თათრები, სომხები და ქართველებიო... – ქართველებიო! – იყვირა სახეშეშლილმა ხრუშჩოვმა და მოსაუბრეს თითქმის ყვირილითვე ჩაეკითხა: – ქართველები? აბა ვინო?! მოლოსტოვამ არტისტული ჟესტით ჭყონიასკენ გაიშვირა ხელი და თან დააყოლა: **„აი, თქვენ გვერდით რომ ზის შავთვალება, მშვენიერი მომღერალი“,** ის ხომ ქართველიაო! ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკიტას ელდა ეცა. სავსე ჭიქით ხელში ჭყონიასკენ უხერხულად მკვეთრად შემოტრიალდა და კონიკი გადაასხა ხავერდის საკონცერტო კაბაზე, თან ღვარძლიანად კბილებში გამოსცრა: „Как вы и грузинку пригрели?!“ ასე შეეწირა თავქარიანი ხრუშჩოვის შოვინისტურ და ანტიქართულ ინტერესს ქალბატონი ლამარას ულამაზესი საკონცერტო კაბა.

ეს გახლავთ ამონარიდი ლამარა ჭყონიას წიგნიდან „ცხოვრების ტალღებზე“.

ლამარა ჭყონია 1930 წელს თბილისში მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მამა გრიგოლ ჭყონია – სწავლული მეტყევე-ინჟინერი, დედა ივლიტა ზედელაშვილი სპეციალობით ბუღალტერი იყო. 1937 წლის რეპრესიებმა გრიგოლის ორივე

ძმა შეიწირა. თვითონ გრიგოლი იძულებული შეიქნა სასწრაფოდ გასცლოდა თბილისს. მან იქაური ტყის მცველების დახმარებით აჭარის მთებს და ტყეებს შეაფარა თავი.

ჭყონიების ოჯახში დიდი ინტერესით ასრულებდნენ ტკბილ კახურ მრავალჟამიერსაც და გურულ ცეცხლოვან კრიმანჭულსაც. სწორედაც რომ გასაოცარმა ქართულმა ხალხურმა ჰანგებმა უბიძგეს ლამარა ჭყონიას სიმღერისადმი უსაზღვრო სიყვარულისკენ. უკვე სკოლის მოსწავლემ ბათუმის საქალაქო ოლიმპიადაზე მრავალჯერ ისახელა თავი. ხშირად გენის დალოცვილი ძალა ბედისწერაშიც ვლინდება. ასე მოხდა ლამარას შემთხვევაშიც. 1947 წელს თბილისიდან ჩასულმა კომისიამ რეკომენდაცია მისცა 17 წლის მომღერალს და იგი ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ჩაირიცხა. ამის შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ჯერ ვალერიან ქაშაკაშვილთან, შემდეგ კი გრიგოლ გოგიჩაძესთან. 1956 წელს მან წარმატებით დაამთავრა კონსერვატორია და ჩაირიცხა თბილისის ოპერის თეატრში სოლისტად. აი, აქედან იწყება ნიჭიერი მომღერლის აღმავალი შემოქმედებითი გზა. სულ მალე თეატრმა დადგა ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, სადაც მაროს პარტია თეატრის ხელმძღვანელობამ ლამარა ჭყონიას ანდო.

**„დაისის“ შემდეგ ლამარა ჭყონიამ დიდი შინაგანი გზნებით შეასრულა ეთერის პარტია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“. ამ როლში ქართველი ქალის ხალასი ბუნება, სულიერი სამყარო, უშუალობა განსაკუთრებით შეიგრძნო ახალგაზრდა მომღერალმა. მასზე წერდნენ: „გულიდან ამოხეთქილი, სევდითა და მწუხარებით აღსავსე მისი სიმღერა მომაჯადოებლად შეიჭრა მსმენელის გრძნობებში“. მის სიმღერაში მძლავრობდა მოქნილი მუსიკალური ფრაზები, კანტილენური ჟღერადობა ყველა რეგისტრში, მუსიკალური მონაკვეთები ფილიგრანული სიზუსტით იყო შესრულებული.**

თბილისის ოპერის თეატრში სამი წელი ისე გავიდა, რომ მაროს და ეთერის პარტიების გარდა სხვა ახალი როლი არავინ შესთავაზა. დამწყები, ენერგიით აღსავსე და შესანიშნავი მონაცემების მქონე მომღერლისთვის უსამართლობა იქნებოდა სამი-ოთხი წელი მრავალფეროვანი რეპერტუარის გარეშე ყოფნა. თეატრშიც არაჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა. ასეთ დროს ხელოვანში განსაკუთრებული ინსტინქტი იღვიძებს, რათა ყველას დაუმტკიცოს საკუთარი შესაძლებლობები. ლამარა ჭყონია იძულებული გახდა, სხვა თეატრებში ეძებნა თავისი ადგილი. ასეთი კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრი აღმოჩნდა. თუმცა, არც აქ იყო იოლი შეღწევა. სიცრუე იქნებოდა მეთქვა, კიევში თავიდანვე გულღიად მელოდნენო, – იხსენებდა შემდეგ ქალბატონი ლამარა. მომღერლის მიზნისკენ სწრაფვამ შედეგი გამოიღო და 1960 წელს იგი ჩარიცხეს თეატრის სოლისტად. სწორედ კიევის საოპერო თეატრის კოლექტივთანაა დაკავშირებული ლამარა ჭყონიას, როგორც მომღერლის, თვალსაჩინო მიღწევები. არაერთი პარტია მოამზადა მან უკრაინის დედაქალაქის სცენაზე. ამ პერიოდში, 1960-68 წლებში გახდა იგი ვოკალისტთა სამი საერთაშორისო და ერთი საკავშირო კონკურსების ლაურეატი: „პრაღის გაზაფხულის“, სოფიის ახალგაზრდა საოპერო მომღერალთა, ტოკიოს მიურა ტამაკისადმი მიძღვნილი მადამ ბატერფლაის სახელობის (გრანპრი) და მოსკოვის გლინკას სახელობის კონკურსებში გამარჯვებამ საოპერო ხელოვნების მოყვარულებს ამცნო ახალი ვარსკვლავის დაბადება.

კიევში ნაყოფიერი სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ახალგაზრდა ქართველ მომღერალს უკრაინის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. ესოდენ ხანმოკლე პერიოდში ეს მაღალი წოდება არცერთ მსახიობს არ რგებია.

უკრაინაში მოღვაწეობის შემდეგ, უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული მომღერალი, 1968 წელს თავის მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა თბილისში. რა თქმა უნდა, ფალიაშვილის სახელობის თეატრში დაბრუნება კიდევ უფრო ნაყოფიერი გამოდგა მისთვის, ეს იყო შემოქმედებითი სიმწიფის ხანა. წლების მანძილზე ქართველ მომღერალს დიდი ინტერესით უსმენდნენ როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თითქოს ახლაც ჩაგვესმის მისი მშვენიერი ლირიკულ-კოლორიტული სოპრანო, მუსიკალურ ნიჭთან შერწყმული სასიამოვნო გარეგნობით და არტისტულობით, საოცრად მოქნილი ვერცხლისებური ტემბრით, ინტონაციურად ზუსტი და ემოციური ჟღერადობით, უმაღლესი ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებები, რომელიც ადამიანის გონებიდან დიდხანს არ ქრება და მის შინაგან სულიერ სამყაროს განუწყვეტლივ ასაზრდოებს. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ლამარა ჭყონიას მიერ შესრულებული სენსანსის „ვარდი და ბულბული“, ვერნეის „ჩიტების ვალსი“, ალიაბიევის და კრაპივნიცკის „ბულბული“, ტისტის „შენი ბაგენი“, ფორეს „პეპელა და ია“, რაველის „ხაბანერის ფორმის ვოკალიზი“. ასეთ დროს ჭყონია სრულად ეყრდნობოდა ცნობილი იტალიური „ბელკანტოს“ სტილის მღერადობას და ფართოდ იყენებდა ვოკალური შემსრულებლობის სხვადასხვა შტრიხებს და ხერხებს.

**რამდენიმეწლიანი შემოქმედებითი საქმიანობის ხანაში მომღერლის რეპერტუარში თავი მოიყარა 40-მდე საოპერო პარტიამ, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: მარფა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“), ტატიანა, იოლანტა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა“), მანონი (მასნეს ამავე სახელწოდების ოპერა), მარგარიტა (გუნოს „ფაუსტი“), დეზდემონა (ვერდის „ოტელო“), მიქაელა (ბიზეს „კარმენი“), როზინა (დონიცეტის „სევილიელი დალაქი“), სავიზიტო ბარათად ქცეული მადამ ბატერფლაი (პუჩინის „ჩიო-ჩიო სანი“) და უამრავი სხვა. მის რეპერტუარში შედიოდა აგრეთვე 700-მდე არია, რომანსი და სიმღერა. ჭყონიამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ურთულესი კამერული საშემსრულებლო სფეროს განვითარება-პოპულარიზაციაში. ამ ჟანრში აღიარებულ მომღერალს, მისი გასაოცარი სიმღერით შთაგონებულმა ქართველმა კომპოზიტორებმა, საგანგებოდ, არაერთი მუსიკალური ნაწარმოები მიუძღვნეს.**

მრავალფეროვანია ჭყონიას სახელოვნებო პალატრა. მაძიებელმა ხელოვანმა იოლად აუღო ალღო ისეთ მუსიკალურ მიმართულებას, როგორიც ოპერეტაა. მან მუსიკალური კომედიის თეატრში წარმატებით შეასრულა ჩანიტას პარტია მილიუტინის ოპერეტა „ჩანიტას კოცნაში“.

ყველა წარსულ წარმატებებთან ერთად უნდა აღინიშნოს მომღერლის პედაგოგიური მიღწევები. საქართველოსა და ესპანეთში მის მიერ აღზრდილთა შორის უნდა დავასახელოთ ქალბატონი ლამარას ქალიშვილები ნატო და ეთერი, რომლებმაც ღირსეულად გააგრძელეს დედის ტრადიციები არა მარტო ჩვენში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

წლების განმავლობაში ჭყონია წარმატებულ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა: იყო თბილისის საქალაქო საბჭოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

**საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე ქალბატონი ლამარას შესახებ წერდა: „ლამარა ჭყონიას ყოფნა ქართულ და საერთაშორისო ხელოვნებაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი მომენტი და ეტაპია მომღერალთა ელიტის ისტორიაში, რაც საერთო საკაცობრიო კულტურაში ჩვენი ერის კულტურულ შენაძენად შეიძლება ჩაითვალოს“.**

ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ლამარა ჭყონიას მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო, თამარ მეფის, წმინდა დიდმოწამე ბარბარეს და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.

ამჟამად ქალბატონი ლამარა ესპანეთში ცხოვრობს. მადლიერი ქართველი ხალხის სახელით სახელოვან მომღერალს ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და სიმღერისგან მონიჭებულ ულევ სიხარულს.

**გელა ქოქიაშვილი,**

**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვოკალისტთა კონკურსების ლაურეატი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი**

# აშშ-ში საქართველოს საელჩო ამერიკული „ტრამოს“ პირდაპირი ინვესტიციის მნიშვნელობაზე საუბრობს...

**ამერიკაში** **საქართველოს საელჩო აშშ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების 2019 წლის მიმოხილვას აქვეყნებს.** მასში ამერიკული კომპანია „ტრამოს“ მიერ განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციაზეა საუბარი, რომელიც ბათუმში ტერმინალის მიმდინარე მშენებლობისთვის განხორციელდა.

**„2019 წელს აშშ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისკენ მიმართული არაერთი ინიციატივა განხორციელდა. ამერიკულმა კერძო კომპანიებმა ქვეყანაში ყველაზე დიდ პროექტებში პირდაპირი ინვესტიციები ჩადეს. მათ შორის იყო აშშ-ის კერძო კომპანია „ტრამო“. იგი საქართველოდან კასპიის ზღვამდე აყალიბებს სატვირთო ტერმინალების ქსელს, რომლის მიზანს მსოფლიოს ბაზრებისთვის მინერალების მიწოდება წარმოადგენს. ამ პროექტში ჩადებული ინვესტიციის მოცულობა 20 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რომელიც საქართველოში, კერძოდ ბათუმის პორტში მინერალური სასუქებისთვის ახალი ტერმინალის მშენებლობას უნდა მოხმარდეს“,** — ნათქვამია ანგარიშში.

„ტრამოს“ მიერ განხორციელებული ინვესტიცია ასევე იმითაა მნიშვნელოვანი,რომ აჭარის რეგიონში პირველ პირდაპირ ამერიკულ ინვესტიციას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ გასულ წელს ცნობილმა ამერიკულმა გამოცემა „Forbs“-მა ვრცელი სტატია მიუძღვნა ბათუმის პორტის ტერმინალის მშენებლობას. ჟურნალისტი Joresa Blount ამ პროექტის, როგორც თანამედროვე „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობაზე საუბრობდა, ასევე ამერიკული კომპანია „ტრამოს“ დაინტერესებასა და პარტნიორობაზე ამახვილებდა ყურადღებას: „ტრამო“ ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული ტრეიდული კომპანიაა, რომელიც 1965 წელს დაარსდა და მსოფლიოს მასშტაბით უამრავ პროექტს ახორციელებს. 2011 წელს „Forbs“-მა „ტრამო“ 500 უმსხვილეს კერძო ამერიკულ კომპანიას შორის 34-ე ადგილზე დაასახელა“ — ნათქვამი იყო სტატიაში.

უფრო ადრე რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ტერმინალის მშენებლობაზე კონგრესმენებმა ალექსანდერ მუნიმ და ადამ კინზინგერმაც ისაუბრეს.

**„ამერიკული ინვესტიცია მნიშვნელოვანია ქართულ-ამერიკული თანამშრომლობისთვის. ვუყურებ რა ამ პორტს და მომავალ პოტენციალს, ვხედავ, როგორ შეგვიძლია, გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ მრავალმხრივი ურთიერთობები, — იქნება ეს ეროვნული თუ ეკონომიკური უსაფრთხოება. ეს შექმნის სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას“,** — განაცხადა კინზინგერმა.

# „შურისძიება სასტიკი იქნება!“ რა ხდება იდლიბის პროვინციაში?

**იდლიბის** **პროვინციაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. სირიის საჰაერო ძალებმა, რუსეთის ავიაციასთან ერთად, იდლიბის პროვინციაში თურქეთის სამხედრო კოლონაზე იერიში მიიტანა. საჰაერო იერიშს 33 თურქი სამხედრო ემსხვერპლა და 35-ზე მეტი ჯარისკაცი დაშავდა. მომხდარის საპასუხოდ თურქეთმა სირიის სამთავრობო პოზიციებზე იერიშის მიტანა დაიწყო.**

რამდენიმე საათით ადრე კი რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თურქეთი იდლიბის რეგიონში დრონებით იერიშების უკანონოდ განხორციელებაში დაადანაშაულა. ეს ბრალდება მას შემდეგ გაჟღერდა, რაც სირიელმა მეამბოხეებმა, რომელთაც მხარდაჭერას თურქეთი უწევს, ქალაქ სარაქებში მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე კონტროლის მოპოვების შესახებ განაცხადეს. რუსული მედია კი იუწყებოდა, რომ თურქი სამხედროები სარაკეტო ჭურვებს იყენებდნენ რუსული და სირიული სამხედრო თვითმფრინავების ჩამოსაგდებად.

მომხდარის გამო, უშიშროების საბჭოს საგანგებო შეხვედრა მოიწვია პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიპ ერდოღანმა.

იდლიბში განვითარებულ პროცესებს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი გამოეხმაურა. იგი მოუწოდებს ასადის რეჟიმსა და რუსეთს, დაიცვან საერთაშორისო სამართლის ნორმები და მხარი დაუჭირონ სირიის კრიზისის დარეგულირების ძალისხმევას, რომელიც გაეროს ეგიდით ხორციელდება. სტოლტენბერგის თქმით, კონფლიქტში ჩართულმა მხარეებმა თავშეკავება უნდა გამოიჩინონ.

**„ყველა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს დაძაბულობის შემცირებას და თავიდან აირიდონ ამ ძალიან სახიფათო გარემოების კიდევ უფრო გამწვავება და ის საშინელი ჰუმანიტარული ვითარება, რომელიც რეგიონში შეიქმნა“,** — განაცხადა სტოლტენბერგმა.

იდლიბში ვითარების ესკალაციის გამო, გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტიერესი შეშფოთებას გამოთქვამს და მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. გენერალური მდივანი შიშობს, რომ სამხედრო მოქმედებების ესკალაციის გამო მშვიდობიანი მოსახლეობა რისკის ქვეშაა.

**„გენერალური მდივანი უკიდურესი შეშფოთებით ადევნებს თვალს ჩრდილო-დასავლეთ სირიაში სიტუაციის ესკალაციას და ინფორმაციას ავიაიერიშის შედეგად დაღუპული ათობით თურქი ჯარისკაცის შესახებ. გენერალური მდივანი კვლავ აგრძელებს მოწოდებას ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ და განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმ რისკის გამო, რაც სამხედრო მოქმედებების ესკალაციის შედეგად მშვიდობიან მოსახლეობას ემუქრება,“** — ნათქვამია გაეროს პრესსპიკერის განცხადებაში.

მომხდარის შესახებ შეშფოთებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი და მხარდაჭერას უცხადებს თურქეთს, როგორც მის ნატოელ მოკავშირეს.

**„ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს ნატოელ მოკავშირე თურქეთს. მოვუწოდებთ ასადის რეჟიმს, რუსეთისა და ირანის მიერ მხარდაჭერილ ძალებს, დაუყოვნებლივ შეწყდეს ეს საშინელი თავდასხმა“,** — ნათქვამია განცხადებაში.

მიმდინარე დაძაბული მდგომარეობის ფონზე ერდოღანის მრჩეველმა მესუტ ჰაკინ ქასინმა განაცხადა, რომ თურქეთი მზადაა რუსეთთან ომისთვის.

**„რუსეთი, სადაც 25 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს შიგნიდან დაინგრევა. ჩვენ ადრე 16-ჯერ ვიომეთ რუსეთთან და ახლაც იმავეს გაავაკეთებთ, ჩვენი შურისძიება ძალზე სასტიკი იქნება“,** — განაცხადა ქასინმა.

## თურქების საპასუხო დარტყმები...

**„თურქეთის საჰაერო ძალებმა და არტილერიამ, იდლიბში სირიის არმიის 200-ზე მეტ სამიზნეს დაარტყეს“,** — ამის შესახებ თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აკარმა განაცხადა.

**„სამხედრო და უპილოტო თვითმფრინავებისა და არტილერიის მუშაობის შედეგად, სირიის რეჟიმის 200-ზე მეტ ობიექტზე დარტყმა განხორციელდა. მოწინააღმდეგის რიგებში განადგურებულია 5 თვითმფრინავი, 23 ტანკი და 10 ჯავშანტექნიკა“,** — განაცხადა ჰულუსი აკარმა და დასძინა, რომ ასევე განადგურებულია 23 ერთეული საარტილერიო იარაღი და საჰაერო თავდაცვის სისტემის 2 კომპლექსი. თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ „განეიტრალებულია სირიის არმიის 309 მებრძოლი. იდლიბში თურქეთის საჰაერო ძალების შეტევები კი შემუშავებული გეგმის მიხედვით ხორციელდება“.

## ნატო საგანგებო კონსულტაციებს გამართავს

**თურქეთის** **მოთხოვნით, ნატოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო საგანგებო კონსულტაციებს გამართავს. კონსულტაციებში ალიანსის წევრი ქვეყნების ელჩები მიიღებენ მონაწილეობას.**

როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, კონსულტაციების გამართვას ნატოს წესდების მეოთხე მუხლი ითვალისწინებს.

ნატოს მეოთხე წესდების მიხედვით, თუ ალიანსის წევრი რომელიმე ქვეყანა ჩათვლის, რომ მას საფრთხე ემუქრება, უფლება აქვს, ნატოს პარტნიორებთან კონსულტაციების გამართვა მოითხოვოს.

## რუსეთის ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში დასეირნობენ

**რუსეთის** შავი ზღვის ფლოტის ფრეგატები ბოსფორისა და დარდანელის სრუტის გავლით, ხმელთაშუა ზღვაში გადაადგილდებიან. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენლები ავრცელებენ.

**„შავი ზღვის ფლოტის ორი ფრეგატი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეს გაივლის და ხმელთაშუა ზღვაში შევა. ფრეგატები „ადმირალი მაკაროვი“ და „ადმირალი გრიგოროვიჩი“, რომლებიც სარაკეტო კომპლექს „კალიბრით“ არიან აღჭურვილნი, სევასტოპოლიდან ხმელთაშუა ზღვაში გეგმურ გადასვლას ახორციელებენ. ისინი შეუერთდებიან ხმელთაშუა ზღვაში მუდმივად დისლოცირებული გემების ჯგუფს“,** — ნათქვამია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის წარმომადგენელთა განცხადებაში. რუსული გემების ხმელთაშუა ზღვაში გადაადგილება იმ ფონზე ხდება, როდესაც სირიის პროვინცია იდლიბში ვითარება უკიდურესად არის გამწვავებული.

## თურქეთიდან ევროკავშირის მიმართულებით ასობით ლტოლვილი დაიძრა

**ასობით** **ლტოლვილი საბერძნეთისა და ბულგარეთის საზღვრისკენ მიემართება. შეგახსენებთ, რომ მანამდე თურქეთის მთავრობამ განაცხადა: იდლიბში ვითარების დაძაბვის შემდეგ ანკარა სირიელი ლტოლვილებს ევროპისკენ გადაადგილების საშუალებას მისცემს.**

თურქული მედიის ცნობით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საზღვრის სიახლოვეს 300 მიგრანტი იმყოფება. მათ შორის არიან ქალები და ბავშვები. ლტოლვილები წარმოშობით სირიიდან, ირანიდან, ერაყიდან, პაკისტანიდან და მაროკოდანაა.

ამასთან სააგენტო „როიტერი“ აღნიშნავს, რომ საზღვრებისკენ მიმავალი ლტოლვილების კადრები თურქეთის მედიამ გაავრცელა და მათი ავთენტურობის დადგენა ვერ ხერხდება.

# რას ჭამენ თბილისის უფასო სასადილოებში 1 ლარად და 30 თეთრად?

**„ᲣᲤᲐᲡᲝ“ სადილი წინასწარ შედგენილი მენიუს მიხედვით მზადდება – ცხელი წვნიანი, გარნირი, კომპოტი და პური. ბენეფიციარების უმეტესობა სასადილოში არ ჭამს - აქ ჩანთებში ჩაწყობილი ქილებით და ყუთებით მოდიან, ავსებენ და სახლში მიაქვთ ოჯახის ყველა წევრისთვის.**

**ის, ვინც სასადილოშივე ჭამს, როგორც წესი, მარტოხელაა. არიან ისეთებიც, ვისაც სახლში შეიძლება, არ ჰქონდეს გაზი, ელექტროენერგია, ქურა და თბილი სადილის იქვე ჭამა ურჩევნია – სითბოში.**

## მეტი, ვიდრე სასადილო

ᲣᲤᲐᲡᲝ სასადილოები ძირითადად პატარა ფართებშია განთავსებული და გათვლილია იმაზე, რომ უმეტესობა, ვინც აქ საკვებისთვის მოდის, დიდხანს არ ჩერდება. ყველა, ვინც აქ ჭამს, აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაშია ჩართული – ბარათით ადასტურებს, რომ რეგულარულად იღებს საკვებს. თუ რამდენიმე დღეს გამოტოვებს, ამოვარდება და მის ადგილს სხვა დაიკავებს მომლოდინეთა სიიდან. 72 წლის ცირა ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს თავისი მეზობლის ნაცვლად მოდის მისი საკვების წასაღებად – ამ დღეებში ის მუშაობს. ცირას ამ სიკეთის სანაცვლოდ მეზობელი პურს უყოფს, ეგეც შეღავათიაო, ამბობს.

მუნიციპალური სასადილოები საკვებთან ერთად ახალი ამბების გაცვლის, მეზობლების მოკითხვის, დარდების გაზიარების ადგილია. მზარეული დიდუბის სასადილოდან გვიყვება, რომ ადრე, როცა ვარკეთილში მუშაობდა, იყო შემთხვევები, როცა მოხუცებს ოჯახური ძალადობისგან თავის დასაღწევ ადგილად სასადილო ეგულებოდათ. **„შვილები დასდევდნენ, ეჩხუბებოდნენ და სცემდნენ მოხუცებს, რომ პენსია და სოციალური დახმარება მათთვის მიეცათ. რამდენი შეგვიფარებია, ვინ იცის“,** –ამბობს ის.

მზარეულებმა იციან ყველაფერი – ვის არ აუნაზღაურა საყოველთაო დაზღვევამ ექიმთან საჭირო სამედიცინო სერვისის ღირებულება, ვინ ვერ ახერხებს გამოსვლას სახლიდან საჭმლის წასაღებად, ვინ ახერხებს, ისე იმუშაოს, რომ სოციალური შემწეობაც შეინარჩუნოს და უფასო საკვებიც. თან საჭმელს ანაწილებენ, თან რჩევებს არიგებენ: როგორ ებრძოლო გაციებას, როგორ მოითხოვო კომპენსაცია, თუკი სამუშაოზე დაშავდები ან ავტოავარიაში შენი ოჯახის წევრი დაშავდება და ასე, იმის მიხედვით, ვინ რა სადარდებლით მივა საჭმლის წამოსაღებად.

## მენიუდან ამოვარდა ფუნთუშა, ყველი და სხვა პროდუქტები...

ᲣᲤᲐᲡᲝ სასადილოებში მზარეულებიც და ბენეფიციარებიც დანანებით ამბობენ, რომ პროდუქტებზე ფასების ზრდამ მენიუც შეცვალა და ასე გაქრა სხვადასხვა დროს დღის ულუფიდან ფუნთუშები, კვერცხი, სალათი, ყველი და სხვა საკვები, რომელსაც 1,30 ლარი აღარ ჰყოფნის.

საქსტატის მონაცემებით, 2020 წლის იანვარში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 6,4 % იყო. ამავე წყაროს მიხედვით, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ერთი წლის განმავლობაში ფასები გაიზარდა 11.3 პროცენტით, ხილზე ფასები გაზრდილია 28%-ით, რძეზე, ყველსა და კვერცხზე – 15%-ით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე – 14,2%-ით, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე – 7%-ით. გაძვირდა პურიც – 5%-ით.

როგორ ახერხებენ მაღალი ინფლაციის პირობებში გამგეობები და მათი კონტრაქტორი კომპანიები სადილის წლების წინათ დადგენილი ფასით მომზადებას, ამაზე მკაფიო პასუხი არ არსებობს.

## და მაინც, როგორ მუშაობენ კონტრაქტორები?

თბილისის მერიაში ამბობენ, რომ ერთ ბენეფიციარზე დღიური კვების თანხას ტენდერი განსაზღვრავს. თბილისის მერიის სოციალური მომსახურების სამსახურში კითხვას იმის შესახებ, რამდენად რეალისტურია სრულფასოვანი სადილის უზრუნველყოფა 1 ლარად და 30 თეთრად და როგორ ხერხდება, რომ ეს ფასი წლების განმავლობაში არ იცვლება, არ პასუხობენ. სამსახურში, სადაც ღია წყაროების მიხედვით 10-მდე ადამიანი მუშაობს, პასუხზე უარს იმით ხსნიან, რომ სასადილოების კვებას გამგეობები უზრუნველყოფენ და ტენდერებსაც ისინი ატარებენ. ტენდერებში კი წლიდან წლამდე ერთი და იგივე კომპანიები მონაწილეობენ და იგებენ ძირითადად დაბალი კონკურენციის პირობებში.

სახელმწიფო შესყიდვების მარტივი ანალიზის მიხედვით ცხადი ხდება, რომ რამდენიმე კომპანია, რომელიც უფასო სასადილოების ტენდერებს იგებს, ყოველ წელს ერთსა და იმავე უბანში გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობს და რიგ შემთხვევებში იგებს ან ძველ ხელშეკრულებას იგრძელებს.

გამგეობების კონტრაქტორი კომპანიები ამბობენ, რომ **ამ საქმეში გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს** და, გარდა ამისა, **როცა ერთ უბანში უკვე „აწყობილი“ გაქვს სასადილო, ახალბედებთან შედარებით უპირატესობას ფლობ, ხარჯი ნაკლებია, მოგების შანსი – მეტი**.

განსხვავებულია ტენდერებში მონაწილე კომპანიების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ისინი მინიმალური დანახარჯით ახერხებენ უფასო სასადილოების მომარაგებას.

მაგალითად, კომპანია „თარი-08“-ის ხელმძღვანელი თამილა მელითაური ამბობს, რომ საკვებისთვის საჭირო პროდუქტის დიდ ნაწილს, ბოსტნეულს და ხილს, უკვე წლებია, თავისი ნაცნობებისა და ახლობლებისგან ყიდულობს, რომლებიც თბილისთან ახლოს დიდი ფართობის მიწებს ამუშავებენ. **„ყველას აწყობს ასე, ისინი რეალიზაციაზე აღარ ფიქრობენ, მე უფრო იაფად ვყიდულობ კარგ პროდუქტს, ვიდრე ბაზარში ვიყიდდი“,** - ამბობს თამილა მელითაური.

კომპანია „ალადაშვილები და კომპანია“ რომელიც მთაწმინდის, კრწანისის და ჩუღურეთის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველების კვებაზეა პასუხისმგებელი, მასზე გამოწერილი ჯარიმების მიხედვით უფრო ნაკლებ საკვებს ამზადებს, ვიდრე ამის ვალდებულება აქვს. 2019 წელს კომპანია იმის გამო დაჯარიმდა, რომ კოჯორში, იუნკრების ქუჩა №30-ში არსებულ უფასო მუნიციპალურ სასადილოში საკვებს სასწორის გარეშე გასცემდა, თვალის ზომით და, შესაბამისად, უფრო მცირე ულუფებს.

ამავე სასადილოში მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ქათმის ხორცი მაცივარში იპოვეს გამოუყენებელი რამდენიმე დღის შემდეგ – ასეთი დარღვევებისთვის კონტრაქტორი კომპანია ჯარიმდება 500 ლარით. „ალადაშვილები და კომპანიას“ 2019 წელს კიდევ ერთი ჯარიმა ეძებნება – ჩუღურეთის რაიონში, საკაძის 50 ნომერში მდებარე 500 ადამიანისთვის გათვლილ სასადილოში საკვები იმაზე ცოტა მზადდებოდა, ვიდრე ეს კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. ჯარიმამ ამ შემთხვევაშიც 500 ლარი შეადგინა.

არსებობს კიდევ ერთი კომპანია, რომელიც უფასო სასადილოების ტენდერებში სისტემატურად და დაბალი კონკურენციის პირობებში იმარჯვებს – კომპანია „ილი“. მისი სამივე დამფუძნებელიც, იაშა ჩაჩუა, ლაშა უღრელიძე და იუზა ჯოგლიძე სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიისას მსხვილ შემომწირველთა შორის იძებნებიან.

შემოწირულობების პარალელურად, 2018 წლის დეკემბერში კომპანია „ილმა“ სამგორისა და ნაძალადევის რაიონებში მოიგო უფასო სასადილოების ტენდერები; კომპანიის დირექტორმა იაშა ჩაჩუამ, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარი არ ისურვა და გვითხრა, რომ ამ თემაზე განმარტება არაერთხელ გაუკეთებია, თუ რამე გვაინტერესებს, შეგვიძლია, ტელევიზორში „მისი კომენტარები ვნახოთ და გადავახვიოთ“.

არასაკმარისი ულუფების გაცემისა და მომზადების გამო ჯარიმის გადახდა მოუწია 2018 წელს შპს „ილსაც“. საჯარიმო წერილში მითითებულია, რომ **„ბენეფიციართა მომსახურებისას არ ხდება მათთვის მენიუთი განსაზღვრული ულუფების ოდენობის აწონვა და გაცემა, ამასთან, ულუფების მნიშვნელოვანი ნაწილი მომზადებული იქნა მას შემდეგ, რაც ადგილზე გამოცხადდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები“**.

## წლიდან წლამდე იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც სასადილოებში იკვებება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ უფასო სასადილოების ბენეფიციარების რაოდენობა და, შესაბამისად, დაფინანსებაც წლიდან წლამდე მზარდია. 2013 წელს უფასო სასადილოებით 22 361 ადამიანი სარგებლობდა, 2017 წელს 22 361, დღეს მათი რიცხვი 40 ათასზე მეტია.

კომპანია „თარი-08“-ის დირექტორი თამილა მელითაური, რომელიც უკვე წლებია, არაერთ მუნიციპალურ სასადილოს ამუშავებს, იხსენებს, რომ 1995 წელს, როცა პირველი უფასო სასადილო გაიხსნა, ადამიანებს ერიდებოდათ და რცხვენოდათ აქ მისვლა. დროთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა და დღეს სასადილოში საკვების მისაღებად უფრო მარტივად დადიან. ის, რაც თითქმის არ იზრდება, თითოეულ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხაა – 1,18 თეთრი, რაც 2011 წელს იყო გამოყოფილი, იმ დროისთვის 0,86 დოლარი გამოდიოდა, დღეს გამოყოფილი 1,30 თეთრი კი, 2020 წელს არსებული კურსით, 0,46 დოლარია.

ადამიანების უმეტესობა, ვინც ამ ფასად საკვებს იღებს, ამბობს, რომ ამ შესაძლებლობის არსებობით მაინც კმაყოფილია. 78 წლის მატილდა, რომელიც მარტო ცხოვრობს მეუღლის გარდაცვალების მერე, ამბობს, რომ ყოველთვის შეიძლება სახლში მომზადებული საჭმელიც არ იყოს კარგი და საკმარისი, მაგრამ მეტი გზა არ გქონდეს. როცა პენსია საჭმელს არ ყოფნის და შეგიძლია მშიერი არ იყო, კარგიაო, ამბობს ის.

**„ეკონომიკურად ძალიან შეზღუდული ვარ, ჩემს შვილს ორივე თირკმელი გათიშული აქვს, დიალიზზეა, იმას რა უნდა მოვთხოვო. ცოტა ხნის წინათ ხელი მომტყდა და აღმოჩნდა, რომ ოპერაციის თანხის ნაწილი მე უნდა გადამეხადა. ძლივს ვიშოვე 140 ლარი. ასეთი ცხოვრება მაქვს, როგორ გგონიათ, მოსაწონია თუ არა? აქ რომ მიწევს მოსვლა, უკვე არ მომწონს, მაგრამ მერე ამას მთელი დღე ვანაწილებ და ვცხოვრობ ეგრე“.**

2018 წელს თბილისის მერიის სარეზერვო ფონდიდან 2 000 ლარი მიიღო საქართველოს ნუტრიციოლოგთა ეროვნულმა ასოციაციამ უფასო სასადილოების მომსახურების გაუმჯობესებისა და უკეთ ფუნქციონირების მიზნით, ახალი „სასადილე პაკეტის“ შესამუშავებლად. მიუხედავად ამისა, 2018 წლამდე შედგენილი მენიუ თითქმის იდენტურია 2018 წლის შემდეგ მოქმედი მენიუებისა.

## რატომ არ არიან პროგრამაში 6 წლამდე ბავშვები?

ᲣᲤᲐᲡᲝ სასადილოების სერვისი არ ვრცელდება 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე.

2015 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთი რეკომენდაცია უფასო სასადილოებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტისთვის მათი პროგრამაში ჩართვა იყო, გამომდინარე იქიდან, რომ მცირეწლოვანი ბავშვების გამოკვება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მძიმე ფიზიკური ტვირთია.

უფასო სასადილოებში 6 წლამდე ბავშვებისთვის პროგრამაში ჩაურთველობა იმით აიხსნება, რომ ამ ასაკის ბავშვებს უფრო სრულფასოვანი კვება საბავშვო ბაღებში შეუძლიათ. თუ უფასო სასადილოების ვიზიტორებს დააკვირდებით, ნახავთ, რომ აქაური საკვებით პროგრამის მიღმა დარჩენილი ბავშვებიც სარგებლობენ. მაგალითად, 78 წლის სათო, რომელიც უკვე 3 წელზე მეტია ჩუღურეთის ერთ-ერთ სასადილოში დადის სადილისთვის, აქ სკოლაში მიმავალ შვილიშვილებთან ერთად მოდის ხოლმე – მოხუცს დიაბეტი აქვს, წვნიანს თვითონ ჭამს, პურს და კომპოტს ბავშვებს ატანს.

**ᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ**

# აბაშაში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

**ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ მინისტრმა თეა წულუკიანმა აბაშაში 76-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. მინისტრმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა, ცენტრის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ცენტრი აბაშისა და მიმდებარე 36 სოფლის 23 000 მეტ მცხოვრებს მოემსახურება.**

მისივე თქმით, საზოგადოებრივი ცენტრის გახსნით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ეძლევა, კომფორტულ გარემოში, ადგილიდან გაუსვლელად, სწრაფად ისარგებლოს სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურებით.

◎ რაგბი

# ახალი დროით

**რაგბი ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალურ ტურში „ბორჯღალოსნები“ რუსეთის ნაკრებს მესხის სტადიონზე შეერკინებიან. დაანონსებული 18-ის ნაცვლად მატჩი 16 საათზე დაიწყება.**

შეხვედრის დაწყების დროის შეცვლა მესხის სტადიონის (რომელსაც სპეციალურად ამ მატჩისთვის არენდით იღებს საქართველოს რაგბის კავშირი) განათების სისტემის ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია. აღნიშნული ობიექტის ადმინისტრაცია ვერ იძლევა გარანტიას, რომ ბრძოლის მსვლელობისას სტადიონის განათება მწყობრიდან არ გამოვა!

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე მატჩის ბილეთები ონლაინ რეჟიმში გვერდზე: www.TKT.ge/Rugby იყიდება, ხოლო მესხის სტადიონის სალაროებში ბილეთები 9 მარტიდან გაიყიდება.

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი

# კაპიტნის ფაქტორი

**ესპანურმა „ბასკონიამ“ ევროლიგის 26-ე ტურში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.**

ვიტორიელები მთელი თამაში განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და საბოლოოდ დამაჯერებლად 71:56 მოიგეს, თორნიკე შენგელიამ კი, ტრადიციულად, დიდი როლი ითამაშა.

ქართველმა კალათბურთელმა 29 წუთში 18 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. თორნიკემ 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 21-ს გაუტოლდა და მხოლოდ თანაგუნდელ შევონ შილდსს (23) ჩამორჩა.

სამაგიეროდ, 18 ქულით ბასკების კაპიტანი მატჩის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ბასკონიას“ 10 გამარჯვების წილ 16 მარცხი აქვს და მე-12 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 4 მარტს მიუნხენში „ბაიერნს“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# საფეხბურთო მოზაიკა

**ერთა ლიგის ნახევარფინალამდე თვეზე ნაკლები დრო დარჩა და თუ საქართველოს ეროვნული ნაკრები ბელარუსის ბარიერს დაძლევს, მისი მეტოქე კოსოვოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის გუნდებს შორის გამარჯვებული იქნება.**

მნიშვნელოვან მატჩამდე კოსოვოს ფეხბურთის ფედერაცია უპრეზიდენტოდ დარჩა. 58 წლის ჩინოვნიკ აგიმ ადემს ქრთამის აღებისა და ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის 9-თვიანი პატიმრობა ემუქრება.

პრიშტინას პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ადემი თანამზრახველთან ერთად ერთ-ერთ ბიზნესმენს 30 ათასი ევროს ქრთამის სახით აღებას აიძულებდა, სანაცვლოდ კი ყალბი დოკუმენტების დამზადებას სთხოვდა.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის ივლისში ადემი კოსოვოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მას შემდეგ აირჩიეს, რაც მისი წინამორბედი ფადილ ვოკრი გარდაიცვალა, მანამდე კი ის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

* * *

**მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ (FIFA) სატრანსფერო პოლიტიკის შეცვლა დააანონსა. როგორც FIFA-ს ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, განათხოვრებულ მოთამაშეთა რაოდენობა მომავალ წლებში ლიმიტირებული იქნება.**

კერძოდ, FIFA-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ 2020 წლიდან კლუბები რვაზე მეტ ფეხბურთელს იჯარის წესით ვერ გაუშვებენ. ასევე, 2022/23 წლების სეზონიდან გუნდები ექვსზე მეტ მოთამაშეს ვერ გაანათხოვრებენ. ამავდროულად, აიკრძალება ორმა კლუბმა ერთმანეთში სამ-სამი ფეხბურთელი იჯარის წესით გაცვალოს.

* * *

**ირანში 23 წლის გოგონა კორონავირუსით გარდაიცვალა. იგი იქაურ ფუტსალის ქალთა ნაკრებში თამაშობდა.**

ელჰამ შეიხს თეირანიდან 140 კმ-ით დაშორებულ ქალაქ კომში აღმოაჩნდა ინფექცია და, სამწუხაროდ, მისი გამოჯანმრთელება ვერ მოხერხდა.

ელჰამს დიაგნოზი 10 დღის წინათ დაუდგინეს, მაგრამ კორონავირუსთან ბრძოლაში დამარცხდა. სტატისტიკის თანახმად, 23 წლის ასაკში კორონავირუსი სიკვდილიანობას მხოლოდ 0.2%-ით იწვევს, თუმცა, ამჯერად ირანელი გოგონას სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა.

* * *

**იტალიური სერია A-ს მოთამაშე პირველი პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა, რომელსაც კორონავირუსი აღმოუჩინეს - გვამცნობს Sport.es.**

ავადმყოფის გვარი არ საჯაროვდება — ცნობილია მხოლოდ ის, რომ სიენის პროვინციიდან არის. გასულ კვირას იგი თავისი გუნდის განაცხადში არ შეიყვანეს სიცხისა და სუნთქვის უკმარისობის მიზეზით, ხოლო მოგვიანებით გამოიკვლიეს, კორონავირუსი დაუდგინეს და სასწრაფო დახმარებამ ის სიენის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ აპენინებზე კორონავირუსის აფეთქება 23 თებერვლიდან დადასტურდა. ბოლო ინფორმაციით, იქ ამჟამად 453 ადამიანია ინფიცირებული, 12 კი გარდაიცვალა.

* * *

**სერია A-ს XXVI ტურისა და, შესაძლოა, სეზონის ცენტრალური მატჩი „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის დახურულ კარს მიღმა გაიმართება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ტურინში შეხვედრაზე მაყურებლები არ დაიშვებიან.**

მიზეზი, რა თქმა უნდა, კორონავირუსია, რომელიც აპენინებზეა გავრცელებული, განსაკუთრებით — ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში — ლომბარდიის, ვენეტოსა და პიემონტის რეგიონებში. სწორედ ამ უკანასკნელის დედაქალაქია ტურინი.

უმაყურებლოდ ჩატარდება ტურის კიდევ ოთხი შეხვედრა: „უდინეზე“ — „ფიორენტინა“, „მილანი“ — „ჯენოა“, „პარმა“ — „სპალი“ და „სასუოლო“ — „ბრეშა“.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსი“ და „ინტერი“ სკუდეტოსთვის ბრძოლაში კონკურენტები არიან და „ბებერი ქალბატონი“ 6-ქულიან უპირატესობას ფლობს, თუმცა, ერთი თამაშით მეტიც აქვს ჩატარებული. საჩემპიონო დაპირისპირება უმაყურებლოდ 1 მარტს თბილისის დროით 23:45 საათზე დაიწყება.

**გიორგი შოთაძე**

◎ ვარსკვლავი

# შარაპოვამ დაასრულა...

**მსოფლიოს** ყოფილმა პირველმა ჩოგანმა და დიდი სლემის ტურნირების ხუთგზის ჩემპიონმა მარია შარაპოვამ აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა. ამის შესახებ 32 წლის რუსმა ოფიციალური განცხადება გააკეთა.

**„მინდა, ბოდიში მოგიხადოთ. ჩოგბურთო, გეუბნები — მშვიდობით! ჩემი ცხოვრება ჩოგბურთს მივეცი და ჩოგბურთმა თავისი ცხოვრება მომცა. ყოველდღე მომენატრება“,** - თქვა მარიამ.

შარაპოვამ კარიერაში ხუთჯერ მოიგო დიდი სლემის ტურნირი: 2004 წელს — უიმბლდონი, 2006 წელს — ამერიკის ღია პირველობა, 2008 წელს — ავსტრალიის ღია პორველობა, ხოლო 2012 და 2014 წლებში — როლან გაროსი. გარდა ამისა, 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალს დაეუფლა.

მან კარიერის ბოლო შეხვედრა იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე ჩაატარა, სადაც დონა ვეკიჩთან 3:6, 4:6 დამარცხდა.

**ბეჭან დოლიძე**

◎ ინტერნეტიდან

# პოპულარობის საიდუმლო

**სლოვენიელ კალათბურთელ ლუკა დონჩიჩის გულისსწორი, მოდელი ანამარია გოლტესი უკანასკნელ პერიოდში ნამეტნავად პოპულარული შეიქნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ბულვარული გამოცემა არ დარჩა, სადაც ამ გოგონას ფოტოები არ იყოს გამოჭიმული.**

კალათბურთის მოყვარულთა ერთი ნაწილი ტურფის პოპულარობას აშშ-ში ლუკას უდავოდ წარმატებულ გარჯას უკავშირებს და იმასაც ამბობს, რომ დონჩიჩის ყველა შესანიშნავი გამოსვლა ანამარიას ცნობადობის პირდაპირპორციულიაო, მაგრამ ობიექტურები რომ ვიყოთ, ამ ასულის შესაძლებლობებიც არ უნდა დაგვრჩეს თვალდაუდგამი.

გოლტესი ჯერ კიდევ ლუკასთან შეხვედრამდე ითვლებოდა პერსპექტიულ მოდელად და შეერთებულ შტატებში მას მრავალ საინტერესო ჩვენებაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ესეც არ იყოს — როგორც ცაში ვარსკვლავები არ ითვლება და იზომება, ისე ზუსტად ვერასოდეს ჩავწვდებით პოპულარობის სათავესა და საწყისებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ კონსპიროლოგია

# კორონავირუსის მისტიკური გამოცანა

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელის თედროს ჰებრეისუსის აღიარებით, ჯერჯერობით ზუსტად უცნობია, თუ სად არის კორონავირუსით დაავადების კერები და როგორ გადაეცემა ის ადამიანებს.**

პირველი ვერსიით, სნეულების კერას **ღამურები** და **გველები** წარმოადგენენ. ჩინელმა მეცნიერებმა ველურ ცხოველთა ათასზე მეტი გენეტიკური ნიმუში შეისწავლეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ **მიაგნეს ინფექციის შუალედური რგოლის მატარებელს: ესაა ჭიანჭველაჭამიას ერთ-ერთი სახეობა — პანგოლინი,** რომელიც დედამიწაზე 60 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. პანგოლინი პლანეტაზე ერთადერთი ცხოველი, რომელიც მთლიანად ქერცლითაა დაფარული. **მის ორგანიზმში აღმოჩენილი შტამი 99 პროცენტით იდენტურია კორონავირუსით დაავადებულ ადამიანებში აღმოჩენილისა.**

ამასთან დაკავშირებით, ცნობისმოყვარე და კირკიტა ჟურნალისტებმა ცნობილი ამერიკული ჟურნალის „ეკონომისტის“ გარეკანი-პროგნოზი გაიხსენეს — „მსოფლიო 2019 წელს“. სოციალურ ქსელში ეს გარეკანი ასეა აღწერილი: **„ზედა მხარეს გამოსახულია პანდა (ბამბუკის დათვი, რომელიც ჩინეთს განასახიერებს, — რედ.), რომელსაც აღმოსავლეთიდან აპოკალიფსის ოთხი მხედარი — ჭირი (კორონავირუსის ეპიდემია), ომი (სირია, ლიბია, ავღანეთი), შიმშილი (სურათის უკმარისობა ეპიდემიისა და საზღვრების ჩაკეტვის გამო) და სიკვდილი (ეპიდემიებისგან და ომებისგან). მაგრამ ყველაზე საგულისხმო დეტალია გარე ყდაზე მეტად უცნაური ცხოველის — პანგოლინის — გამოსახულება!**

თუ გავითვალისწინებთ, რომ კორონავირუსის ეპიდემია ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში დაიწყო, ჟურნალ „ეკონომისტის“ გარეყდა წინასწარმეტყველური გამოდის, რადგან პანგოლინის იქ გაჩენა სრულიად არაარგუმენტირებულად ჩანდა, ვიდრე 2020 წლის 7 თებერვალს არ გამოცხადდა, რომ **პანგოლინისა და დაავადებულ ადამიანთა კორონავირუსის მეტაგენომები პრაქტიკულად იდენტურია.**

ამასთან დაკავშირებით, ბევრს ასეთი დასკვნა გამოაქვს: გავლენიანი ბრიტანული ყოველკვირეული გამოცემა „ეკონომისტი“ როტშილდების, მსოფლიოში უხუცესი ფინანსური კლანის აზრის ერთ-ერთი მთავარი რუპორია, რომელთაც ასევე სამყაროს ფარულ მმართველებს, ეგრეთ წოდებული „ოქროს მილიარდის“ მწვერვალს უწოდებენ.

კონსპიროლოგიაში მიღებული აზრით, დედამიწაზე სადღეისოდ დარჩენილი რესურსები მხოლოდ მსოფლიო ელიტისთვის და მისი მომსახურე პერსონალისთვისაა საკმარისი — „ოქროს მილიარდსაც“ სწორედ ეს ადამიანები შეადგენენ. დანარჩენი მოსახლეობისგან „პლანეტის გაცლა“ კი მსოფლიოს ფარულმა ბატონებმა, თითქოსდა ომების, შიმშილობისა და ეპიდემიების დახმარებით გადაწყვიტეს. ჰოდა, ახალი ეპიდემიაც სწორედ მათი „შემოგდებულია“, რის შესახებ თავიანთ ხალხს თითქოს დაშიფრული გარეყდით შეატყობინეს...

არადა, ამ იდუმალ გარეკანზე პანგოლინის გამოჩენას საქმეში ჩახედული ხალხი იმით ხსნის, რომ ჟურნალში იშვიათი და გადაშენების პირას მდგარი ცხოველებით ვაჭრობასთან დაკავშირებით საგანგებო სტატია იყო გამოქვეყნებული. მასალის ერთ-ერთი პასაჟი 2018 წლიდან ჩინეთის მიერ სპილოს ძვლითა და მისგან დამზადებული ნაკეთობებით ვაჭრობის აკრძალვაა. სწორედ ამის გამოა, რომ სპილოს ძვლით ზოგიერთი მოვაჭრე პანგელინების შავ ბაზარზე გადაერთო: ამ ცხოველთა ხორციც ფასობს და სამკურნალო თვისებების მქონე ქერცლიც, რის გამო ეს ჭიანჭველაჭამიები სადღეისოდ მსოფლიოში გადაშენების პირას მყოფი ყველაზე გაყიდვადი სახეობაა.

იმის მიუხედავად, რომ პანგოლინებზე ნადირობა ჩინეთში აკრძალულია, ვინაიდან მისი ქერცლი ხალხურ მედიცინაში ასთმისა და კიბოს სამკურნალოდ, ასევე პოტენციის ასამაღლებლად და მრავალი სხვა მიზნისთვის გამოიყენება, ხორცი კი რესტორნებში ჩუმად, ძალიან ძვირად იყიდება, ისინი ბრაკონიერების მუდმივ სამიზნეს წარმოადგენენ.

ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში აფრიკისა და აზიის ტყეებში ბრაკონიერებმა მილიონზე მეტი პანგოლინი დაიჭირეს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალ ქვეყანაში გაგზავნეს. ჩინეთში, მათ შორის კი უჰანის სასურსათო ბაზრებზე, ერთი კილოგრამი პანგოლინის ხორცი 50-60 ევროს შესაბამის ფასში იყიდებოდა...

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

## დედისა და დის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია!

**ბრალდებულმა** მიმდინარე წლის 28 თებერვალს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოპორტში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფისა და დანის გამოყენებით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა დედას — 1957 წელს დაბადებულ ც.ქ.-ს და დას — 1977 წელს დაბადებულ თ.ქ.-ს. მიყენებული ჭრილობების შედეგად ორივე ქალი გარდაიცვალა.

ოჯახის ორი ან მეტი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დუშეთში დააკავეს 1979 წელს დაბადებული ლ. ქ. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები — სანადირო თოფი და დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

## ქუთაისის ციხეში 4 პატიმარი შიმშილობს

**ადვოკატების** როინ ჭეიშვილისა და ციცინო ბაბუნაშვილის თქმით, პროტესტის უკიდურეს ფორმას 4 ადამიანი მიმართავს, აქედან ერთ-ერთი პატიმარი თვეზე მეტია, შიმშილობს, რის გამოც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია.

პატიმრებს გამოძიება თავდაპირველად თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებოდა, თუმცა შემდეგ მათ ბრალი დაუმძიმდათ და გამოძიებამ გამოძალვის, სხეულის ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანების მუხლები დაამატა.

გარდა ამისა, ადვოკატების ინფორმაციით, ერთ-ერთი პატიმარი ხონის პოლიციის უფროსის მოადგილეს ჩვენების იძულებით მიცემაში ამხელს, რაზეც გამოძიება დაწყებულია.

საქმე ეხება ვალის დაბრუნების მოთხოვნით დაწყებულ სიტყვიერ შელაპარაკებას, რომელიც ხონში 2019 წლის 23 ნოემბერს მოხდა.

დაკავებულების ადვოკატები საქმის სწორად გამოძიებას და სასამართლოსგან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვენ.

## ზუგდიდში ავარიას 3 ადამიანი ემსხვერპლა

**ზუგდიდის** მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, ზუგდიდი-ანაკლიის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არის მსხვერპლი. სამი დაღუპულიდან ორი ცოლ-ქმარია.

ავარიის შედეგად დაშავებული 2 პირი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში არიან მოთავსებულები. დაშავებულთაგან ერთის მდგომარეობა მძიმეა.

შსს-ს ინფორმაციით, შემთხვევა გვიან ღამით მოხდა.

## ირანის ვიცე-პრეზიდენტს კორონავირუსი დაუდგინდა

**საოჯახო** და ქალთა საკითხებში ირანის ვიცე-პრეზიდენტს მასუმე ებთეკარს კორონავირუსი დაუდგინდა..

**„ვირუსის ზოგიერთი სიმპტომის გათვალისწინებით, ქალბატონ ვიცე-პრეზიდენტს ჩაუტარდა ტესტი კორონავირუსზე, რომელიც დადებით აღმოჩნდა“,** — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველმა. მანამდე ირანის პარლამენტის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ მოჯთაბა ზულნურმა განაცხადა, რომ კორონავირუსით დაინფიცირდა.

**„დიახ, კორონავირუსზე ჩატარებული ტესტი დადებითი აღმოჩნდა, ნერვიულობად არ ღირს, კარანტინში ვარ მოთავსებული, ღმერთმა ქნას, ჩვენმა ხალხმა დაამარცხოს კორონავირუსი“,** — განაცხადა დეპუტატმა.

კორონავირუსით დაავადდნენ ირანის პარლამენტის კიდევ ერთი დეპუტატი მაჰმუდ სადეკი და ირანის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაჯ ჰარირჩი. ბოლო ინფორმაციით, ირანში კორონავირუსული ინფექციების რაოდენობამ 245-ს მიაღწია, აქედან 26 ფატალურად დასრულდა.

## ისრაელელმა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნა?

**ისრაელელ** მკვლევართა ჯგუფი, გალილეის კვლევით ინსტიტუტში (MIGAL) **კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინის შემუშავების ბოლო სტადიაზეა, — ამის შესახებ ისრაელის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრმა ოფირ აკუნისმა განაცხადა. ინფორმაციას i24news.tv-ი ავრცელებს.**

მინისტრის თქმით, ვაქცინის შექმნა შესაძლოა, სამ კვირაში დასრულდეს, ხოლო ხელმისაწვდომი 90 დღეში იქნება.

**„ვულოცავ MIGAL-ს ამ გარღვევას. დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომი სწრაფი წინსვლა იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს საჭირო პასუხი უზრუნველვყოთ გლობალური საფრთხისთვის“,** — განაცხადა მინისტრმა.

MIGAL-ი გალილეაში მდებარე კვლევითი ორგანიზაციაა, რომელიც ბიოტექნოლოგიის, გარემოდაცვითი მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სფეროებში სპეციალიზირდება.

## მონღოლეთის პრეზიდენტი კარანტინში მოათავსეს

**ჩინეთში** ვიზიტის შემდეგ **მონღოლეთის პრეზიდენტი ხალტმაგინ ბატულგა 14-დღიან კარანტინში მოათავსეს.**

მონღოლეთის პრეზიდენტი ჩინეთში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ მონღოლეთის პრეზიდენტი და მისი დელეგაციის წევრები პრევენციის მიზნით 14-დღიან იზოლაციაში მოათავსეს.

## ჩრდილოეთ კორეაში კორონავირუსით დაინფიცირებული ადამიანი დახვრიტეს

**სოციალურ** ქსელში ბლოგერი Secret Beijing-ი, **რომელიც ჩინეთის ანალიტიკოს უწოდებს თავს, წერს, რომ ჩრდილოეთ კორეაში კორონავირუსით დაინფიცირებული პირველი პაციენტი დახვრიტეს.**

მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ კორეელი მაღალჩინოსანი დახვრიტეს იმის გამო, რომ მან კარანტინი დაუკითხავად დატოვა.

# 29 თებერვალს დაბადებულთა „უპირატესობანი“

**ნაკიანი წელიწადი კალენდარული წელიწადია, რომელიც 366 დღე-ღამეს შეიცავს; 1 დღე-ღამით მეტია მარტივ წელიწადზე. ნაკიან წელიწადში თებერვალი 29 დღე-ღამისგან შედგება.**

დედამიწა მზის გარშემო ბრუნვას 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს ანდომებს. 4 წელიწადში ერთხელ ეს „ზედმეტი“ 6-საათიანი სხვაობა საათები ერთად იყრის თავს და ემატება კალენდარს. კალენდარსა და წლის სეზონებს შორის სხვაობის აღკვეთის მიზნით, ყოველი მეოთხე წლის თებერვალს, დამატებითი დღე — 29 თებერვალი ემატება.

ნაკიანი წლის გარდა არსებობს ნაკიანი წამიც, რომელიც ბოლოს გასული წლის ივნისში დაგვემატა. ნაკიან წამს ნაკიან წელთან არანაირი კავშირი არა აქვს, ამასთანავე, იგი არ უკავშირდება დედამიწის ბრუნვას.

29 თებერვალს დაბადებულებს ხშირად მხტუნავებს უწოდებენ, რადგან დაბადების დღეს 28 თებერვალს ან 1 მარტს აღნიშნავენ.

ნაკიან წელიწადს უკავშირდება უძველესი ტრადიცია, რომლის თანახმად, ამ წელს ქალებს უფლება აქვთ, ხელი სთხოვონ საყვარელ მამაკაცებს. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, მეხუთე საუკუნეში მცხოვრებ ირლანდიელ წმინდანს, პატრიკს მონაზონმა წმინდა ბრიჯიტმა უამბო, რომ ქალებს დიდხანს უწევთ ლოდინი, სანამ საქმრო ხელს სთხოვთ. ამაზე საპასუხოდ, წმინდა პატრიკმა განაცხადა, რომ აძლევს ქალებს უფლებას, თავად გააკეთონ ეს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

არსებული ტრადიციით, თუ ნაკიან წელს დანიაში მამაკაცი ქალს დაქორწინებაზე უარს ეტყვის, ვალდებულია, 12 წყვილი ხელთათმანი მისცეს. ფინეთში კი „ჯარიმის“ სახით, ქვედა ბოლოს შესაკერად ნაჭერი უნდა აჩუქოს.

საინტერესოა, რომ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ყოველთვის ნაკიან წელს ტარდება.

**მიხეილ ცაგარელი: „ამ დღეს დაბადებულები ძლიერი ინტუიციით გამოირჩევიან. მათ აქვთ უნარი, საოცარი რჩევა მისცენ სხვებს. ამიტომ, თუკი ამ დღეს დაბადებულმა ოდესმე რამე გირჩიათ, დაუჯერეთ. ის თქვენთვის სასიკეთო იქნება.**

**თუმცა მათ არ იციან, საიდან აქვთ ეს უნარი. ისინი გეომაგნიტური ველის საშუალებით, ქვეცნობიერად იღებენ ამ ინფორმაციას და სწორედ ეს გახლავთ მათი ერთგვარი შარმიც.**

**28 თებერვალი რომ დასრულდება და 12 საათს გადასცდება, პირველ წუთებზე უნდა ადღეგრძელოთ ეს ადამიანები, ამ დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოს საოცარი ძალა აქვს. იუბილარებზე დიდ ზეგავლენას ახდენს“.**

ნაკიანი წლები დადგება: 2020, 2024, 2028, 2032, 2036, 2040 და მომდევნო, ყოველ 4 წელიწადში ერთხელ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ სულიერება

# ყველიერის, მიტევების კვირიაკე

**1 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განსაკუთრებულ დღეს, რომელიც წელიწადში ერთხელ აღინიშნება და მას მიტევების კვირიაკეს — ყველიერის კვირიაკეს ვუწოდებთ.**

...მიტევების დღეს ყველა ადამიანი გაახელს თუ არა თვალს, შესთხოვს შენდობას უფალს, ღრმად იხედება თავის სულში და რაც უფრო ცხადად ხედავს თავის ცოდვებს, მით უფრო სინანულით ევედრება უფალს ცოდვათა მიტევებას.

ამგვარად, ის (ადამიანი) გამოითხოვს სულიწმინდის მადლს შემოქმედისგან, რომელიც ვითარცა ცეცხლი განწმენდს სულს მანკიერებისაგან.

შენდობის კვირიაკეს თავი უნდა დავიმდაბლოთ და ყველა ადამიანს ვთხოვთ, გვაპატიოს ჩვენი საქციელი, რომლითაც გული ვატკინეთ, უნდა ავმაღლდეთ საკუთარ თავზე (ყოველი ცოდვის სათავე ხომ ამპარტავნებაა).

...პირველ რიგში, ჩვენ შევუნდოთ მას (ყველა ადამიანს) ყველაფერი და შემდეგ თავმდაბლობით და გულწრფელობით ვითხოვოთ მისგან პატიება...

როგორც ამბობენ, მარხვა სინანულისა აღდგომა სიხარულისა.

**გიული ლიპარტია**

# ვიდეოკამერები რუსეთის ეკლესიებში

**მოსკოვის საპატრიარქოს სამართლებრივი სამმართველოს ხელმძღვანელმა, იღუმენია ქსენიამ (ჩერნეგამ) დაადასტურა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის ტაძრებში სათვალთვალო ვიდეოკამერებს ამონტაჟებს. მისი სიტყვებით, ეს კეთდება რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილების საფუძველზე.**

კამერების დაყენება, განაცხადა ჩერნეგამ, მოხდება მხოლოდ 500-ზე მეტი ადამიანის ტევადობის ობიექტებში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლის თქმით, პატარა ტაძრებში კამერებს ჯერჯერობით არ დაამონტაჟებენ. ისინი არ იქნება არც იმ ტაძრებში, რომლებშიც არ ტარდება რეგულარული ღვთისმსახურება (უფრო იშვიათად, ვიდრე კვირაში ერთხელ) და სადაც არ დადიან მომლოცველები; ასევე მონასტრებში და სხვა შენობებში, რომლებზე წვდომაც შეზღუდულია ეკლესიის წესებით. იქ ვიდეოკამერების შეცვლა შეიძლება პერიოდული შემოვლებით, დასძინა ჩერნეგამ.

მან ასევე თქვა, რომ კამერები განთავსდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის „შიდა განაწესის“ გათვალისწინებით. კერძოდ, ისინი არ მოთავსდება საკურთხეველში და აღსარების ადგილებზე.

**„ბევრ ტაძარში უკვე დიდი ხანია, დამონტაჟებულია ვიდეოკამერები, მათ შორის, ქურდობის თავიდან ასაცილებლად — როგორც ეკლესიის ქონების, ისე მრევლის კერძო ნივთებისა“,** - აღნიშნა მან.

ასევე, როგორც იურისტმა თქვა, წინამძღვრის გადაწყვეტილებით, კამერები შეიძლება, გაითიშოს ნათლობის, ჯვრისწერისა და პანაშვიდის დროს, ანუ „ინდივიდუალური რიტუალების“ მსვლელობისას, ვინაიდან მთავრობის დადგენილება **„ეხება მხოლოდ საჯარო ღვთისმსახურებასა და რიტუალებს“.**

# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

# რომის პაპმა ავადმყოფობის გამო მესა გამოტოვა

**ავადმყოფობის გამო რომის პაპმა ფრანცისკემ რომში დაგეგმილი მესა გამოტოვა, რომელიც სხვა სასულიერო პირებთან ერთად უნდა ჩაეტარებინა.**

ვატიკანის განცხადებით, პაპი თავს შეუძლოდ გრძნობდა და ამიტომ ამჯობინა, დარჩენილიყო სასტუმროში, სადაც ის ცხოვრობს.

პაპის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი დეტალები არ დაკონკრეტებულა.

იუწყებიან, რომ ოთხშაბათის მესაზე რომის პაპი ახველებდა და სურდო ჰქონდა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8042; ევრო - 3.0686;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6110;
100 რუბლი - 4.2697; თურქული ლირა - 0.4545;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6559;
1000 სომხური დრამი - 5.8573.

**ამინდი 29 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -5, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე | +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3 | დღე | +16 |
| **თბილისი:** | ღამე | +2, | დღე | +16 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge